852/ 15168
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 1 ივნისი 2004 №123 (2142) ფასი 50 თეთრი



## განაჩენი

### ფედერაციამ ბოლნისის სიონი შეფას თასიდან და სახლიდანაც მოკვეთა



## ბოლნისელები უკან არ იხევენ

### თუ ფედერაცია გადაწყვეტილებას არ შეცვლის, თბილისში ჩამოვალთ და...

## ზემრჯერ მოხსნილი რანიერი ბუშინ მოხსნეს



*კლაუდიო რანიერი „ჩელსის" მენეჯერობიდან, როგორც იქნა, დაითხოვეს. როგორც იქნაო, იმიტომ არ ვამბობთ, რომ იტალიელმა ცუდად იმუშავა, არამედ, რომან აბრამოვიჩის ახირების გამო, ჯერ კიდევ წინა ზაფხულში რომ დაიწყო ახალ მენეჯერზე ფიქრი და თუ რანიერი აქამდე არ გაუშვა, მხოლოდ იმიტომ, რომ უკეთესი არ ჰყავდა ნაპოვნი.*

*არადა, რას ერჩი რანიერის — „ჩელსი" პრემიერლიგაში მეორე ადგილზე, ჩემპიონთა ლიგაში კი ნახევარფინალში გაიყვანა. მაგრამ ეს შედეგები აბრამოვიჩის დახარჯული მილიონებში ჩაიკარგა.*

*ამბობენ, აბრამოვიჩმა ჟოძე მაურინიუ შეიპირაო. გასაკვირი არ არის.*

# ფედერაციამ სიონს სახლიც აუკრძალა და ევროპაც

## თამაში არ უნდა გაგრძელებულიყო



*დღეს ქართული ფეხბურთისთვის უპრეცედენტო გადაწყვეტილება მივიღეთო, თქვა გუშინდელ საგანგებო პრესკონფერენციაზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ. უპრეცედენტო გადაწყვეტილება კი ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა — ფედერაციამ ბოლნისური „სიონი“ უეფას თასის გათამაშებიდან მოხსნა*

*მერაბ ჟორდანია:* „სიონმა“ მართლაც ბევრი გააკეთა ქართული ფეხბურთისთვის. ამ ჩემპიონატში შეუდარებული იყო ბოლნისური კლუბი. ძალიან მინდოდა, მათთვის და მათი ფანებისთვის გმირები მეწოდებინა, მაგრამ დღეს ისინი ჩემპიონატის ანტიგმირები არიან. ისტორიული, უპრეცედენტო გადაწყვეტილება მივიღეთ, რაც სამაგალითო უნდა გახდეს სხვა კლუბებისთვის. „სიონმა“ წლეულს მართლაც ბევრს მიაღწია, მაგრამ ზოგიერთი ვაი-ქომაგის წყალობით ყველაფერი წყალს გაატანა. ჩვენი გადაწყვეტილება კი ასეთია: „სიონი“ უეფას თასის გათამაშებიდან მოხსნილია. ამის თაობაზე უეფას შესაბამის კომიტეტს დავუკავშირდით და ჩვენი გადაწყვეტილება ვამცნეთ. უეფადან პასუხს ხვალ მივიღებთ. მაგრამ გარწმუნებთ, მათი პასუხი ჩვენი გადაწყვეტილების მხარდამჭერი იქნება. „სიონი“ ათი ათასი ლარით დავაჯარიმეთ და მომავალი ჩემპიონატის 10 საშინაო მატჩს ნეიტრალურ მოედანზე გამართავს. გარდა ამისა ჩამოვაყალიბეთ სპეციალური კომისია, რომელიც საგულდაგულოდ შეისწავლის მატჩის ვიდეოფირს და მკაცრად დაისჯებიან კონკრეტული ფეხბურთელები ორივე გუნდიდან. მათი სასჯელი მინიმუმ 10-მატჩიანი და 2 500 ლარიანი იქნება. დისკვალიფიცირებულთა შორის აუცილებლად იქნებიან გოცირიძე და ადამია, თუმც ეს დისკვალიფიკაცია საერთაშორისო საკლუბო მატჩებზე არ გავრცელდება. კონფლიქტში მონაწილეობდა „სიონის“ ერთ-ერთი მწვრთნელი გიორგი ყიფშიძე. ჩვენ ეს პიროვნება ფეხბურთიდან მოვკვეთეთ. „სიონი“ სხვა მხრივაც დაზარალდა. უეფას თასის ერთ ეტაპზე მონაწილეობისთვის კლუბი 80 ათას შვეიცარიულ ფრანკს მიიღებდა. ბუნებრივია, შევეცდებით, „სიონის“ ნაცვლად სხვა კლუბი გავუშვათ უეფაზე, თუმც იმის ალბათობაც არის, რომ ამ ტურნირზე ერთი ადგილი დავკარგოთ.

ამ მონოლოგის შემდეგ მერაბ ჟორდანიამ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

— თქვით, რომ სპეციალურ კომისიას ჯერაც შესასწავლი აქვს მატჩის ვიდეოფირი. ფაქტობრივად, ცალსახად არც გარკვეულა, თუ ვისი მხრიდან მოდიოდა პროვოკაცია. ამის გათვალისწინებით ნაჩქარევი გვგონია თქვენი გადაწყვეტილება...

— ეს არ არის ცხელ გულზე მიღებული გადაწყვეტილება. ვანდალიზმში ბოლნისელთა ფანები მონაწილეობდნენ. გადაწყვეტილება მკაცრია, მაგრამ სამომავლოდ თავის შედეგს უთუოდ მოიტანს. დაუშვებელია, ასეთი რამ ხდებოდეს სტადიონზე.

— „სიონი“ განტევების ვაცად ჩანს. თქვენი გადაწყვეტილების თანახმად, ფაქტობრივად, გუნდი აგებს პასუხს ქომაგთა საქციელზე. არადა, მაყურებელთა ზღვარს გადასული ქმედება არაორგანიზებულობის ბრალიც გახლდათ. მატჩის ორგნიზაციაზე კი პასუხისმგებელი პროფლიგა და ფედერაცია იყვნენ.

— ჩვენ წილ პასუხისმგებლობას არ ვიხსნით. გეთანხმებით, რომ მატჩის ორგანიზაციის მხრივ ბევრი ხარვეზი იყო, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ — შესაბამის ორგანოებს დავუკავშირდით, ვთხოვეთ, დაცვა გაეძლიერებინათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ გათვალეს, თუ რა მასშტაბებთან ჰქონდათ საქმე.

— დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად იყო „ოქროს მატჩი“. მაშინ, როდესაც გვყავს სამი ფიფას არბიტრი, რატომ და რა მოტივით შეჩერდა არჩევანი ეროვნული კატეგორიის არბიტრ ალექსანდრე კრიჭაშვილზე?

— ამასთან დაკავშირებით მე მქონდა კონსულტაციები სამსაჯოსაინსპექტორო კომიტეტის თავკაცთან. ანატოლი მილჩენკომ კრიჭაშვილის სასარგებლოდ ბევრი არგუმენტი დამისახელა. მითხრა, უშიშარი მსაჯია, პროფესიონალიო.

— თქვენ რა შეფასებას მისცემთ კრიჭაშვილის მსაჯობას?

— სპეციალისტების აზრის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ მთლიანობაში კრიჭაშვილმა ობიექტურად იმსაჯა, თუმც ხარვეზები ჰქონდა. ჩემი აზრით, გოცირიძის უხამსო ჟესტიკულაციისას მეტი სიმკაცრე უნდა გამოეჩინა.

— მატჩამდე ბოლნისელები თამაშის გამართვას ნეიტრალურ ქალაქში ითხოვდნენ. ბოლოს კი ისე გამოვიდა, რომ მსაჯიც თბილისელი იყო...

— თამაში ნეიტრალურ მოედანზე გაიმართა. უფრო კვალიფიციური მსაჯები კი თბილისელები არიან.

— ჩაწიხლული მსაჯები მოედანზე დააბრუნეთ, ამ დროს მაყურებელი კვლავაც უმართავი იყო, ასეთ ვითარებაში რამდენად სწორი იყო მატჩის გაგრძელება?

— ეს მართლაც შეცდომა იყო. თამაში არ უნდა გაგრძელებულიყო.

— „სიონს“ თუ აქვს აპელაციის უფლება?

— რამდენადაც ვიცი, ამ შემთხვევაში აპელაციის მექანიზმი არ არსებობს.

**ბაატა ძვანტალიანი**



გიორგი ყიფშიძე ფეხბურთიდან მოიკვეთა

# ბოლნისი უკან არ იხევს

## ზოგი ჟესტი მახვილზე ბასრია

*„ვიტ ჯორჯია“ — „სიონის“ გუშინწინდელ სკანდალურ მატჩს ფეხბურთის ფედერაციისა და პროფლიგის რეაქცია უკვე კი მოჰყვა, მაგრამ ბოლნისელთა დასჯის ამბავს აქ ნუ გავარჩევთ და ინციდენტის უშუალო მონაწილეებს მოვუსმინოთ.*

*ბოლნისელ ფანთა ყოჩი ალა ასათიანი და „სიონის“ ყოფილი ფეხბურთელი ჯონი ჯაგიდისი ეროვნული სტადიონის იმ სექტორში ისხდნენ, საიდანაც ქომაგები მოედანზე გადახტდნენ და მსაჯები გალახეს*

*ალა ასათიანი:* რაც მოხდა, ყველაფერში დამნაშავენი ვიტჯორჯიელი თავდამსხმელი გოცირიძე და მსაჯი კრიჭაშვილი არიან. ფეხბურთელმა ათასობით ბოლნისელი ქომაგი თავისი უხამსი ჟესტით ჭკუიდან გადაიყვანა. მსაჯს კი ის უნდა გაეძევებინა. რა უნდოდა ჩვენგან გოცირიძეს, ახლაც ვერ გამიგია, გოლი გაიტანა, ჩვენს სექტორთან მოვიდა და თავის ქცევით ისე გაგვალიზიანა, მამა შვილს არ მოუთმენს.

**— კი მაგრამ, ვიდრე გოცირიძის ის ჟესტი იქნებოდა, რაზეც ამბობთ, ფეხბურთელს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეთ...**

— რას ამბობთ?! მან მართლაც ლამაზი გოლი გაიტანა და ტაშიც კი დავუკარით. თუმც ამ დროს ჩვენს უკან მსხდომმა „ვიტ ჯორჯიას“ ქომაგებმა გინება აგვიტეხეს, რასაც გოცირიძის ჟესტიც მოჰყვა. ჩამობრძანდით ბოლნისში, აქაურ ტელევიზიას აქვს ის კადრები, სადაც ყველაფერი ცხადად ჩანს, ნახეთ და დარწმუნდებით, რა იყო და როგორ, ვინ არის დამნაშავე.

**— თქვენ არ თვლით თავს დამნაშავედ?**

— არა. ის ორივე ქომაგი, რომელთაგან ერთს ტვინის შერყევა აქვს, მეორე კი დანითაა დაჭრილი, ბოლნისელია და ახლა საავადმყოფოში არიან.

**— თითქმის ყოველთვის „სიონის“ თამაშებისას რატომ ხდება ხოლმე მსგავსი არეულობები?**

— მითხარით ერთი თამაში, რომელიც „სიონის“ ქომაგმა აურია? „ვიტ ჯორჯიასთანაც“ თავად ვნახე მოედანზე გადასული მცხეთელები, რომლებიც „არმაზის“ სტადიონის დირექტორმა ჩამოიყვანა.

**— მცხეთელებს რა უნდოდათ?**

— აბა, „ვიტ ჯორჯიას“ თბილისში ქომაგი არ ჰყავს და... „სიონის“ ფანი ფეხბურთელს არ შეაგინებს, თუ მისგან შეურაცხყოფას არ დაინახავს.

**— არ აგინებს?**

— არ აგინებს, პირიქით, თუ ლამაზად ითამაშებს, ტაშს ვუკრავთ. თასის შარშანდელი ფინალი გაიხსენეთ, რომელიც „სიონმა“ „დინამოსთან“ წააგო, მაშინ ვინმემ რამე თქვა?! არაფერი გვითქვამს, რადგანაც ფეხბურთელებიც კარგად იქცეოდნენ და მსაჯებიც ნორმალურად მსაჯობდნენ.

*ჯონი ჯაგიდისი:* გოცირიძემ იუზრდელა, აი, ესაა და ეს. ბოლნისელებს ცუდი არაფერი გაუკეთებიათ, ქომაგები თბილისელმა ფეხბურთელმა გამოიწვია...

**— ცუდი როგორ არ გაგიკეთებიათ, მსაჯები კინაღამ ჩაქოლეთ...**

— გუნდის მწვრთნელის თანაშემწე ყიფშიძე, რომელიც ფედერაციამ ფეხბურთიდან მოკვეთა და ფეხბურთელი ონიანი იყვნენ, რომლებმაც მსაჯები გადაარჩინეს. სხვათა შორის, მათგან, ვინც მსაჯებს ურტყამდა, თბილისელებიც იყვნენ, „სიონს“ პროვოკაცია მოუწყვეს.

**— რა პროვოკაცია?**

— ის პროვოკაცია, რომ არეულობა თბილისელმა ქომაგებმა დაიწყეს. ფეხბურთელმა თავისი ჟესტით დიდი შეურაცხყოფა მოგვაყენა, ტრიბუნაზე ჩვენს უკან მყოფმა ქომაგებმა კი გვაგინეს...

რაც შეეხება ბოლნისის „სიონს“, კლუბის ხელმძღვანელობის პოზიცია უცნობია. „სიონის“ უფროსობა კომენტარისგან ჯერ თავს იკავებს და სათქმელს, ალბათ, დღეს იტყვის. ბოლნისელ ფანობას კი უთქვამს, თუ ფედერაცია მიღებულ გადაწყვეტილებას არ შეცვლის, თბილისში წამოვალთ და...

**კობა ინასარიძე**

### ინგლისი

III დივიზიონი. პლეი ოფი

მანსფილდი 0:0დ.დ.(4:3პენ.0:0) ჰადერსფილდი

### შვედეთი

სუპერეტა. VII ტური

ბოდენსი 1:1 ჰეკენი
ნორჩიოპინგი 0:0 ფალკენბერგი
ასირისკა 1:0 ენკიოპინგი
ატვიდაბერგი 3:1 ფრისკა
ბრაგე 3:1 ბრომაპოიკარნა
გეფლე 2:0 იოსტერსი
გაის 4:2 ფრიოლუნდა

### ირლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩები

დუბლინი 2:1 უოტერფორდი
ბოჰემიანსი 3:1 სენტ პატრიკსი

### ამხანაგური მატჩი

ნიგერია 2:0 იამაიკა

### ჰოლანდია

გადასასვლელი პლეი ოფი

A ჯგუფი. V ტური

სპარტა 2:2 ჰელმონდი
ვენლო 1:1 ვიტესი

B ჯგუფი. V ტური

გრააფსხაპი 4:0 ვოლენდამი
ჰერაკლესი 2:2 ეძსელსიორი

### დანია

I დივიზიონი. XXVII ტური

ბრიონშოი 1:2 ნორდიულანდი
იოლსტიკე 1:0 ფრედერისია
ბ-93 8:0 ბ-1913
სიონდერიულანდი 1:2 კიოგე
ჰორსენსი 4:2 სილკებორგი
ნიკიობინგი 0:2 ვაილე
ფკ ორჰუსი 0:3 სკიოლდი

### ნორვეგია

ტიპელიგა. IX ტური

ტრომსიო 2:0 ვოლერენგა
ჰამ კამი 1:1 ლილესტრიომი
სტაბეკი 0:1 ვიკინგი
ბოდიო გლიმტი 0:3 ფრედრიკსტადი
ლინი 1:2 ბრანი
სოგნდალი 3:3 რუსენბორგი

I დივიზიონი. IX ტური

ალესუნდი 4:0 ვარდ ჰაუგესუნდი
ჰაუგესუნდი 3:2 რაუფოსი
ჰიონეფოსი 3:1 ბრინი
კონგსვინგერი 0:0 სანდეფიორდი
მოსი 0:1 სტარტი
პორს გრენლანდი 4:0 მანდალი
სკეიდი 6:0 ტრომსდალენი
სტრიომსგოდსეტი 4:1 ჰიოდი

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

ვადუცი 2:1 ძსამაძსი (0:2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯაჭვი ყელ-ფეხზე

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ბოლნისის „სიონი" მკაცრად დასაჯა. ისე მკაცრად, როგორც არასდროს არავინ დაუსჯია. „სიონი" უეფას თასიდან მოიკვეთა და ათი საშინაო მატჩის ნეიტრალურ მოედანზე ჩატარებაც მოუწევს. ერთი სიტყვით, „ოქროს მატჩისას" მომხდარ ინციდენტებში დამნაშავე ნაპოვნი და დასჯილია.*

*ფედერაციის გადაწყვეტილება ვინმეს შესაძლოა მეტისმეტად მკაცრად მოეჩვენოს, ვილაცას არა. ჩვენ კი გვგონია, „სიონის" გულშემატკივართა საქციელი მხოლოდ ერთი რგოლია იმ გრძელი ჯაჭვისა, რომელიც ქართულ ფეხბურთს აჩიავებს*



ბოლნისელებმა მსაჯი გურამ ჩიგოგიძე ფეხქვეშ გაიგდეს

არსებობს მაღალი და დაბალი რისკის მატჩები. მაღალი რისკის მატჩებზე ორგანიზატორები ვალდებულები არიან, უსაფრთხოების ზომები განსაკუთრებულად დაიცვან. ცხადია, „ოქროს მატჩი" მაღალი რისკისა იყო. ვიკითხოთ: იყო თუ არა უსაფრთხოების ზომები იმგვარად დაცული, ასეთ მატჩს რომ შეეფერება? პასუხი ერთმნიშვნელოვანია — არა! სპეცრაზმი მაშინ მოვიდა, მსაჯები და მაყურებლები უკვე ნაცემ-დაჭრილები რომ იყვნენ.

ბოლნისელი გულშემატკივარი მოედანზე შეიჭრა და მსაჯს გამეტებით ურტყა. ეს ძალიან ცუდია. მაგრამ გვერწმუნეთ, რომ მოედანზე შეჭრა მხოლოდ ბოლნისელი გულშემატკივრის თვისება არ არის. თუ მიუშვი, მანჩესტერელ და ლონდონელ გულშემატკივრებშიც ბლომად აღმოჩნდება ისეთი, სიამოვნებით რომ გადახტებოდა მოედანზე და მსაჯს მიასიკვდილებდა. თუ მიუშვი — სწორედ ამაშია განსხვავება. ხულიგანი გულშემატკივარი თავის ნებაზე არ უნდა მიუშვა.

ვფიქრობთ, ორგანიზატორებს თავიდანვე რომ მიეყვანათ სპეცრაზმის თუნდაც მცირე ჯგუფი, რაც მოხდა, არ მოხდებოდა — ზოზინა პოლიციელისა ხულიგან გულშემატკივარს არ ეშინია, სპეცრაზმელის ხელკეტის კი მეტი რიდი აქვს. და რომ ზოზინა პოლიციელის გულშემატკივარს არ ეშინია, ეს კიდევ ერთი პრობლემაა.

ცალკე თემაა არაკომპეტენტური მსაჯობა. მსაჯი, ცხადია, ცდება-ხოლმე. წმინდა სათამაშო შეცდომებს თავი დავანებოთ. როცა არასპორტული საქციელისთვის ერთ ფეხბურთელს აძევებ, მეორეს გაფრთხილებასაც არ აძლევ, ეს შეცდომა არ არის, არაკომპეტენტურობაა. საკამათო არ უნდა იყოს, რომ ვიტჯორჯიელი ფეხბურთელის უხამსი ჟესტი, გოლის გატანის მერე ბოლნისელ გულშემატკივარს რომ უჩვენა, მსაჯისგან რეაგირებას ითხოვდა.

ანუ მომხდარში გულშემატკივრის გარდა მსაჯიც და ფეხბურთელიც დამნაშავეა.

და ბოლოს, დამნაშავეა ისიც, მომხდარში მხოლოდ ბოლნისელი გულშემატკივრის დანაშაული რომ დაინახა.

მოკლედ, ქართულ ფეხბურთში უამრავი რამეა გამოსასწორებელი. ხოლო გადაწყვეტილება, რომ დამნაშავე მხოლოდ ბოლნისელი გულშემატკივარი ყოფილა, სხვა პრობლემების ვერდანახვის ან მიჩქმალვის მცდელობაზე გვაფიქრებინებს.

და თუ არ ვცდებით და მართლა ასეა, პროფლიგის სურვილი, ფეხბურთი კარგ შოუდ აქციონ, სურვილადვე დარჩება.

**კოტე კეკელია**

# ესაო, ისაო, მაგრამ...

## მირჩევნია, შვილის ტიტინს ვუსმინო

*„დინამოში" საკადრო წმენდა გრძელდება. მამუკა წერეთელს, ალეკო გოგობერიშვილს, მიხეილ ბობოხიძეს, კარლოს და როჩას გუშინ დავით გვარამაძეც მიემატა. სარწმუნო წყაროთა ცნობით, ეს „არასაჭირო" ფეხბურთელთა არასრული სიაა და ახლო მომავალში „დინამო" კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს შეელევა.*

*უკვე ექსდინამოელ დავით გვარამაძეს გუშინ შევხვდით და მომხდარზე კომენტარი ვთხოვეთ*

— ვგრძნობდი, რომ ჩემს გარშემო რაღაც ხდებოდა და გადავწყვიტე, მოვლენებისთვის დამესწრო. პატარა ბავშვი ხომ არ ვარ, კლუბიდან ჩემი გაშვების შესახებ გერმანიაში შეკრებაზე წამსვლელთა და დამრჩენთა კედელზე გამოკრული სიიდან გამეგო?!

— გამოდის, კლუბის ხელმძღვანელობას თავად დაელაპარაკე...

— რადგან ვიგრძენი, რომ აღარ ვჭირდებოდით, კლუბის ხელმძღვანელობას კი არა, გია გეგუჩაძეს ველაპარაკე. ვუთხარი, თუ გინდათ, გუნდში შუშაკისეული კონკურენცია გქონდეთ, ორი თანაბარძალოვანი მეკარე გყავდეთ და ის თამაშობდეს, ვინც უკეთეს ფორმაში იქნება, „დინამოში" დავრჩები-მეთქი.

— მერე რა პასუხი მიიღე?

— მიკიბულ-მოკიბული, გუნდისადმი დიდი დამსახურება მიგიძღვის, მაგრამ ... და ასე შემდეგ. მოკლედ, მივხვდი, რომ უნდა წავსულიყავი.

— ახლა რას ფიქრობ, რას აპირებ?

— ჯერჯერობით არაფერს. ეს ყოველივე ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მომავალზე ჯერ არცკი დავფიქრებულვარ. ცოტას დავისვენებ. აგერ, ბავშვიც შინ მყავს და მისი ტიტინი ყველა უსიამოვნებას დამაძლევინებს. მერე ჩვეული მონდომებით დავიწყებ ვარჯიშს. ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო — „დინამოსადმი" ერთგულება ეროვნულ ნაკრებში ადგილის დაკარგვად დამიჯდა, ახლა კი ყველაფერს გავაკეთებ, რათა ნაკრებშიც დავბრუნდე და იმათაც, ვინც ნაადრევად ჩამომწერეს, საქმით დავუმტკიცო ყველაფერი. არანაირი ბოღმა, ყველაფრის მხოლოდ საქმით დამტკიცება, ახლა ესაა ჩემი დევიზი.



— რომელიმე კლუბის წარმომადგენლები ხომ არ შეგხმიანებიან?

— არა, ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ალბათ ჯერ ვერავინ გარკვეულა. ვიცი, უსაქმოდ არ დავრჩები.

**დავით ერაძე**



*მართალი ყოფილა დონეცკის „მეტალურგის" ხელმძღვანელობა, 27 მაისს საქართველო – ისრაელის მატჩზე გოჩა ჯამარაულის და გიორგი დემეტრაძის გამოშვებაზე თავი რომ გაიგიჟა. დონბასელებმა მაშინვე ულტიმატუმი? — ულტარი აფრინეს თბილისში, ეს ბიჭები დაგვითმეთ და ჩვენ ვიცით თქვენი პატივისცემაო. ჰოდა, ჩვენებურთა თანხმობით გახარებულმა მეტალურგებმა უმთავრეს კონკურენტ ოდესის „ჩერნომორეცს" 2:1 სძლიეს და უეფას თასის საგზურს ჩაებღაუჭნენ*

# სნაიპერმა დემეტრაძემ უეფას დაუმიზნა

**უკრაინის** ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტური და დარჩა და ძნელი სავარაუდოა, „მეტალურგმა" ოდესელებს დაწევის საშუალება მისცეს — მათ შორის სხვაობა სამი ქულაა, თან ჯამარაულ-დემეტრაძის გუნდს უკეთესი კალენდარიც აქვს.

„მეტალურგი" — „ჩერნომორეცი" კი გიორგი დემეტრაძის ბენეფისად იქცა. ჩვენებურმა 68-ე წუთზე გახსნა ანგარიში, რასაც რამდენიმე წამში სტუმართა გამთანაბრებელი მოჰყვა. მალე ოდესელმა კოსირინმა, რომელიც ბომბარდირთა დავაში „დემეს" კონკურენტია, მეორეც გაიტანა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა არარსებული თამაშგარე დააფიქსირა. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ნამატჩევს „მეტალურგის" თავკაც ტონ კაანენს უთქვამს, „ჩერნომორეცმა" ასპროცენტიანი გოლი გაგვიტანაო. თანამსაჯს კი შეცდომა ულიარებია და სტუმარი გუნდისთვის ბოდიშიც მოუხდია.

ერთი სიტყვით, ყველას რომ ეგონა, თამაში ფრედ დამთავრდებაო, დემეტრაძემ ისევ გაიბრწყინა — 88-ე წუთზე ალბათ საუეფასთასო გოლი გაიტანა.

ახლა გიორგი 16 გოლით ბომბარდირთა ლიდერია, მეორეადგილოსანი კოსირინი მას 4 ბურთით ჩამორჩება.

**კახა შალამბერიძე**

# მოსალოდნელი მიდი-მოდი დინამოში

**ეროვნული** ჩემპიონატი ჯერ ხეირიანად არ დასრულებულა და უკვე დაიწყო ლაპარაკი ქართულ ტრანსფერებზე. კვლავაც ყველაზე აქტიური ამ მხრივ თბილისის „დინამოა". „ახალი გუნდის" შექმნა კლუბმა კარგა ხანია, დაიწყო და საამსაქმოდ ამჯერად დინამოელებს „თბილისის" ორი ფეხბურთელი — გოჩა ხოჯავა და ზაალ ელიავა მოუსურვებიათ. კულუარული ცნობებით, ახლების შემატებასთან ერთად „დინამოში" ძველთა გაშვებასაც ფიქრობენ. უკვე წასულ ფეხბურთელებს ალბათ მალე ლადო ბურდული, გიორგი შაშიაშვილი და გიორგი ანჩაბაძეც შეუერთდებიან.

ამბობენ, „თბილისს" ხოჯავას და ელიავას შემცვლელებად თბილისის „სპარტაკის" ფეხბურთელები, ირაკლი სამხარაძე და თენგიზ ჩიკვილაძე შეუგულებიაო. აქ ერთ საინტერესო დეტალზეც ღირს ყურადღების შეჩერება. ჩიკვილაძეზე პრეტენზიას საქართველოს ახალი ჩემპიონი „ვიტ ჯორჯიაც" აცხადებს. უფრო პერსპექტიულადაც ეს ვარიანტი ჩანს, ვინაიდან ალბათ თავად ფეხბურთელსაც ურჩევნია, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოსინჯოს ძალა, ვიდრე ინტერტოტოს თასზე.

**დავით ერაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
ზოგადი სპონსორი

# საქართველოს 15 ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა მიმოხილვა

მეთხუთმეტე ეროვნულში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამბავი ისიც იყო, რომ ჩემპიონატი მეორე ეტაპიდან დამოუკიდებლად ჩაატარა პროფესიულმა ლიგამ — ამ ორგანიზაციამ ჩვენს ჩემპიონატს სპონსორები და ფული მოუტანა, რაც აქამდე არ ყოფილა...

აქამდე ჩემპიონები ოდენ თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ ხდებოდნენ, მეთხუთმეტე ჯერზე კი საუკეთესო „ვიტ ჯორჯია“ აღმოჩნდა...

აქამდე არც „ოქროს მატჩი“ ყოფილა, მაგრამ საჩემპიონო თამაში ზეიმი კი არა, საშინელება გამოდგა...

მეთხუთმეტე ეროვნულმა კიდევ ბევრი რამ ჩაიტია და ზოგიერთ მათგანს ერთხელაც წაგაკითხებთ...



ბადრი კეთილაძის ფოტო



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

რა ჩვეულებრივი იყო ყველაფერი და როგორ დამთავრდა: ჯარი სტადიონზე

## მეცხრე ტური: ბუნტი დინამოში



ბადრი კეთილაძის ფოტო

ჩემპიონთა ლიგის პირველივე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ტირანასთან“ მარცხის შემდეგ „დინამოდან“ აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავა გაუშვეს და კლუბის ერთპიროვნული გამგებელი მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი გახდა. პეტრიაშვილის პირველმა ქმედითმა ნაბიჯმაც არ დაახანა — „დინამოს“ ფეხბურთელებს პრემიები ძველთან შედარებით საგრძნობლად შეუმცირა. ამით უკმაყოფილო მოთამაშეები „მცხეთასთან“ სათამაშოდ არ გადიოდნენ და პეტრიაშვილმაც გადაწყვიტა, „დინამო 2“-ის ფეხბურთელებით გასულიყო გუნდი სათამაშოდ. კონფლიქტი ძალიან მწვავე კი იყო, მაგრამ ფეხბურთელებმა დათმეს და უპრემიოდ გააგრძელეს „დინამოში“ თამაში — ბუნტის დროს „დინამოს“ დიღმის ბაზას შაშხანიანი პოლიციელები იცავდნენ.

## მსაჯი კამიკაძე

ქართულ საფეხბურთო სამყაროში დამკვიდრებულია ასეთი გამოთქმა — კამიკაძე მსაჯი. ეს არის მსაჯი, რომელსაც არ ეშინია ფეხბურთელთა თუ გულშემატკივართა აგრესიის, მათი წიხლების და მუშტების, ოღონდ, ამ კამიკაძე მსაჯს მოთხოვნები და პირობები უნდა დაუკმაყოფილო.

მეთხუთმეტე ტურის „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“ მერაბ მალაღურაძემ იმსაჯა. მეორე ტაიმში დინამოელი ლადო ახალაია „ვიტ ჯორჯიას“ საჯარიმოში წააქციეს და მალაღურაძემ პენალტი არ დანიშნა. ერთ-ერთმა დინამოელმა არბიტრს მხარი ჰკრა და წააქცია, მეორე დინამოელმა კი წაქცეულ მალაღურაძეს ჭვინტი მიარტყა. არბიტრმა პატაკში არავინ არ ამხილა, არც ფეხბურთის ფედერაციას გამოუდვია თავი ვინმეს დასასჯელად.



ბადრი კეთილაძის ფოტო

## მქვინვარე გორელებთან მესხს ფინტები გამოადგა



ბადრი კეთილაძის ფოტო

ბოლნისში „დილა“ 3:1 იგებდა „სიონთან“ და 3:4 წააგო. მატჩის არბიტრმა კახა მესხმა „დილას“ კარში 11-მეტრიანი მაშინ დანიშნა, როცა გორელები 3:2 იგებდნენ და გამოუდგნენ „დილას“ ფეხბურთელები მსაჯს. იგივე განმეორდა მატჩის დასრულების შემდეგ. მესხს „დილას“ რამდენიმე ფეხბურთელისგან მოხვდა, მაგრამ კარგი ფიზიკური მომზადების წყალობით და გაქცევის დროს ცრუ მოძრაობებით სიკვდილს გადაურჩა.

„დილას“ სამი ფეხბურთელი — ლევან გოჩაშვილი, ალეკო კაიდარაშვილი და მერაბ ძოძუაშვილი ათმატჩიანი დისკვალიფიკაციითა და 1000-1000 ლარიანი ჯარიმით დასაჯეს, კიდევ ერთს, ალექსანდრე ლაბაძეს კი ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

# ჩხაიძე და ცაკარიასი უმატარებლოდ დარჩნენ



თბილისის „ლოკომოტივში“ განვლილ სეზონში საკმაოდ ბევრი ამბავი მოხდა. სეზონის წინ გუნდი რევაზ არველაძემ ჩაიბარა, მაგრამ ახალი მწვრთნელ-ფეხბურთელებით დაკომპლექტებული „ლოკომოტივი“ ჩემპიონატის წამყვან გუნდებს ვერ გაუტოლდა. არველაძემ გუნდი დატოვა და რკინიგზელები ძველ ნაცნობს, პერუელ ლუის ცაკარიასს ერთხელაც ენდნენ. ცაკარიასის ხელში „ლოკომოტივი“ ზეექვსეულში დარჩა, ხოლო გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი დავით სირაძე მეორე ბუნდესლიგის „უნიონში“ გადავიდა.

ვარდების რევოლუციამ კი თავისი ხელი „ლოკომოტივსაც“ დაატყო — რკინიგზის შეფი და გუნდის პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძე დააპატიმრეს. „ლოკომოტივი“ ერთი პერიოდი უპატრონოდ დარჩა, ცაკარიასს მაღალ ხელფასს, აბა, ვინღა მისცემდა და პერუელიც წავიდა. „ლოკომოტივი“ ზაურ სვანაძემ ჩაიბარა და გუნდი ზედ მეორე ეტაპის დაწყების წინ შეაკოწიწა.



# სიონი დინამოს მეცხრეზე დაალცხრა




ცხრა სეზონია, „სიონი“ უმაღლეს ლიგაში თამაშობს და აქამდე ერთხელაც ვერ მოეგო თბილისის „დინამოსთვის“. ბოლნისელებმა ნავსი მეთხუთმეტე ჩემპიონატის მეორე ეტაპზე გატეხეს — შინ „დინამოს“ 3:2 მოუგეს. ამ მატჩის შემდეგ „დინამოში“ ნიადაგი კარგად შემზადდა გუნდიდან ივო შუშაკის გასაშვებად, ხოლო „სიონს“ ჩემპიონობის შანსი გაუჩნდა. ერთი სიტყვით, „სიონისგან“ „დინამოს“ ძლევა პატარა ამბავი არ ყოფილა, თანაც ბოლნისელებმა პირწმინდად აჯობეს შუშაკელებს.



გია გეგუჩაძის დამოძღვრილმა „დინამომ“ მეორე ეტაპზე ავლაბარში „თბილისს“ 2:0 მოუგო, მაგრამ თამაში ამით როდი დამთავრდა. მატჩიდან ცოტა ხანში სკანდალი აგორდა. შეხვედრის არბიტრმა კახა მესხმა თქვა და მოხსენებით ბარათშიც დაწერა, მატჩის წინ ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა ცაცა შელიამ დამირეკა და დამემუქრაო. ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა შელია ფეხბურთიდან მოკვეთა და მუქარის საქმე პროკურატურას გადაულოცა.

მაგრამ „თბილისი“ ამით დაკმაყოფილდებოდა? კომპრომისი გამოინახა: „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა და „თბილისის“ მეპატრონეებმა დიღმის ბაზაზე ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს, გასაყოფი და საჩხუბარი რა გვაქვს, აგორებული სკანდალი უფრო მესამე ძალის ბრალი უნდა იყოსო.

ცხადია, ასეთი ზღაპარი არავინ დაიჯერა. სკანდალი სამარცხვინოდ ჩაფარცხეს.

# ჩაფარცხული სუპერსკანდალი

## მესხთან დარეკვა შავნეშელია თქვენი იმიჯისთვის



ბევრი იწვალა თუ ცოტა, ქუთაისის „ტორპედომ“ ერთ-ერთი უცუდესი სეზონი ჩაატარა — საერთო ჯამში მეშვიდე ადგილზე გავიდა. საქართველოს სამგზის ჩემპიონისთვის ერთადერთი ნათელი წერტილი თასის ფინალია, 26 მაისს დაძაბულ ბრძოლაში რომ წააგო თბილისის „დინამოსთან“. ერთი სიტყვით, ამ ყველაფერს „ტორპედოში“ ორი მწვრთნელი შეეწირა — სოსო ფრუიძე და ბრაზილიელი ჟოაო კამპუში. ფრუიძემ უკრაინელი ალექსანდრ შტელინის წასვლისთანავე დაიკავა ეს პოსტი და პირველი ეტაპის მიწურულს გულშემატკივრებთან ურთიერთობა ისე გაუფუჭდა, რომ იძულებული გახდა, გადამდგარიყო. „ტორპედო“ ექვსეულში ვერ ხვდებოდა და ხელმძღვანელობამაც მაშველი ბრაზილიიდან ჩამოიყვანა — მხიარული ჟოაო, რომელიც თავიდანვე ვერ შეეგუა კლუბის ვიცე-პრეზიდენტ შედან ნანიკაშვილის პრეტენზიებს, მერე კი, წინააღმდეგობის გაწევა რომ სცადა, ერთი-ორიც მოხვდა და... კამპუში, ცხადია, ქუთაისს გაეცალა. სეზონი კი ოთარ გაბელიამ ჩაამთავრა და, როგორც იცით, „ტორპედომ“ თასის ფინალს უწია.

# კამპუშს ტკბილ მოგონებად იმერული ხაჭაპური დარჩა



ჟოაო კამპუში და მისი თანამემამულე თანაშემწე საღორიიდან ცივად გაუშვეს

# თბილისური ასორტი ზეექვსეულისთვის

სეზონის გუნდი-აღმოჩენა „თბილისი“ უნდა იყოს — ახალგაზრდა მწვრთნელ გიორგი დევდარიანის ხელში „თბილისი“ ერთობ პროგრესულ გუნდად წარმოჩინდა, მაგრამ გახსოვთ, როგორ შევიდა ეს გუნდი ზედა ექვსეულში?

პირველი ეტაპის ბოლო ტურში „თბილისი“ „ლოკომოტივს“ სტუმრობდა და ზეექვსეულში შესასვლელად სამი ქულა სჭირდებოდა. მატჩის წინ „თბილისის“ ქომაგებმა მინდორზე მაშხალები და პეტარდები ისროლეს, ჰოდა, შეხვედრა რამდენიმე წუთით გვიან დაიწყო ანუ ზედა ექვსეულში შესასვლელად „თბილისის“ კონკურენტმა გუნდებმა თავიანთი მატჩები „თბილისზე“ ადრე დაიწყეს და დაამთავრეს, „თბილისისთვის“ კი დანარჩენი მატჩების ანგარიშები „ლოკომოტივ“ — „თბილისის“ დამთავრებამდე გახდა ცნობილი.

„ლოკომოტივი“ — „თბილისი“ კი 0:1 დასრულდა — სულიკო დავითაშვილმა გოლი ისე გაიტანა, რომ ბურთი მასთან დაუბრკოლებლად მივიდა, „ლოკომოტივის“ დამცავი ეშელონები ძალიან იოლად გაიარა და ეს მატჩიც ერთ-ერთი ყველაზე სკანდალურად სალაპარაკო გამოდგა — ყველამ ყველაფერი გაიგო, ხოლო „თბილისი“ ზეექვსეულში აღმოჩნდა.

# ოლიმპიური სიმშვიდის სამსხვერპლოზე

## წამყვანები სხვებმა წაიყვანეს

თბილისის „დინამომ“ ივო შუშაკის ხელმძღვანელობით მოსკოვში თანამეგობრობის თასი მოიგო. ტურნირი ძლიერი გუნდებით დახუნძლული არ ყოფილა, თუმც ტიტულის მოპოვება პატარა ამბავი მაინც არაა. მაგრამ მიუხედავად ამისა, „დინამო“ ოთხმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა – ოთარ ხიზანეიშვილმა, ალეკო ამისულაშვილმა, ვიტალი დარასელიამ და რატი ალექსიძემ. „დინამო“ კიდევ ერთ ფეხბურთელს უნდა შელეოდა, მაგრამ ლადო ბურდულმა, ვინც კიევის „დინამოს“ ახლდა შეკრებაზე, ტრავმა მიიღო და ტრანსფერიც არ განხორციელდა.

მოკლედ, „დინამო“ ჩემპიონატის მეორე ეტაპს ხუთკაციანი დანაკლისით შეხვდა. სანაცვლოდ ყველასთვის უცნობი ბრაზილიელი სეზარ რომერო დაიმატა, კიდევ შოტლანდიიდან წამოსული ეროვნული ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე. „დინამოში“ ასეთი პოლიტიკის გამტარებელმა, კლუბის მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა კი „სარბიელს“ უთხრა, ჩემპიონატის განახლებას ოლიმპიური სიმშვიდით ვხვდები, ჩემპიონი ისევ „დინამო“ გახდებაო.



ჩემპიონატის მეორე ეტაპიდან რატი ალექსიძეს „დინამოსთვის“ აღარ გაჰქონდა




# საქართველოს ახალი ჩემპიონი





ოქროს მატჩმა მსაჯებს წიხლი და მუშტი, „ვიტ ჯორჯიას“ კი ჩემპიონობა მოუტანა

## ლოკო და მოტივაცია



თავისი წილი ყოფაქცევა ყველას მართებს — ფეხბურთელის ხელის ქნევა ხშირად გინებას და ჩხუბს იწვევს

**სანამ** თბილისის „ვიტ ჯორჯია“ ბოლნისის „სიონს“ ოქროს მატჩს მოუგებდა, ბოლო ტურში შინ „ლოკომოტივი“ წააქცია. რკინიგზელებს ამ მატჩის რაგინდარა შედეგი ვერაფერს სძენდა და ვერც აკარგვინებდა, მაინც მეხუთე ადგილზე გადიოდნენ, მაგრამ „ლოკომოტივმა“ თავი შეაკლა „ვიტ ჯორჯიას“. ეს „ლოკომოტივს“ მოეთხოვებოდა კიდეც, მაგრამ რა ვუყოთ იმ კულუარულ ინფორმაციებს, რომლებიც თითქმის ყოველთვის მართლდება ხოლმე? „ლოკომოტივიდან“ გამოჟონა ხმებმა, რომ რკინიგზელებს ფულად პრემიას „სიონი“ დაპირდა, მაგრამ ამას, აბა, ვინ დაიჯერებს? ჩემპიონობისთვის მებრძოლ „სიონს“ ხომ იმის საშუალებაც არ ჰქონდა, ვარჯიშები მინდორზე ჩაეტარებინა და დიდუბის მანეჟში იდენდა ოფლს. მაშ, ვინ შესთავაზა პრემიები „ლოკომოტივს“?

რკინიგზელებამდე „ვიტ ჯორჯიამ“ თბილისის „დინამოს“ მოუგო და ვიტელები მართლაც ღირსეული ჩემპიონები არიან.

## შუშაკს თასის ნაცვლად სასმისი შერჩა



**მეორე** ეტაპის მეექვსე ტურში „დინამომ“ „ლოკომოტივთან“ გასვლაზე 0:0 ითამაშა. ივო შუშაკის ხელში მეორე ეტაპის ექვსი მატჩიდან „დინამომ“ ოდენ ერთი მოიგო და პირველი ადგილიდან მესამეზე აღმოჩნდა — კლუბის მმართველ დირექტორ დავით პეტრიაშვილს შუშაკის გაშვება სურს, მაგრამ რას იტყვის კლუბის მფლობელი ბადრი პატარკაციშვილი? შუშაკს უნდა, რომ თავისი ხმა პატარკაციშვილს მიაწვდინოს, „დინამოდან“ კონტრაქტის დამთავრებამდე არ წავიდეს. დილმის ბაზაზე პატარკაციშვილი მიდის, სხვათა გარდა ფეხბურთელებსაც ხვდება, მაგრამ „დინამოს“ მოთამაშეთა აბსოლუტური უმრავლესობა ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებშია გამოძახებული. ბატონი და პატრონი ბადრი ფაქტობრივად „დინამო 2“-ის ფეხბურთელებს ხვდება. საბოლოოდ, პეტრიაშვილი იმარჯვებს — შუშაკი მიდის და მის ადგილზე გია გეგუჩაძე მოდის.

შუშაკს რამდენიმე ფეხბურთელიც თან მიაყოლეს, მათ შორის „დინამოს“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ალეკო გოგობერიშვილი. გამარჯვებული პეტრიაშვილი ეიფორიაშია, მაგრამ წინ „თბილისი“ — „დინამოა“, სკანდალური მატჩი სკანდალური გაგრძელებით.







## პოლიციელი და გულშემატკივარი

ასე დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი და ქვეყანას ახალი ჩემპიონი ჰყავს.

ის, რაც ადრე პერიფერიაზე იყო, თბილისშიაც მოვიდა — სტადიონის ხულიგნობა, ქვა, დანა და ასე შემდეგ. უკეთეს შემთხვევაში მუშტი და წიხლი.

საქართველოს ყოველ მომცრო ქალაქში სტუმრის ჩასვლა და ფეხბურთის თამაში ნამდვილი კოშმარია.

ყველამ იცის, რომ ეს კოშმარია. სტადიონი და ბილწსიტყვაობა საერთოდაც ახლოა ერთმანეთთან, რადგან სტადიონი აზრის გამოხატვის ყველაზე თავისუფალი ადგილია, ჯერ კიდევ ჰა-ჰა-ჰა ელინთა დროიდან.

მაგრამ ისეთი ხეპრე მიდგომა თამაშისადმი, როგორიც საქართველოს პატარა ქალაქებშია გამეფებული, ძნელად რომ სადმე იყო. ჩვენი მსაჯები ვერ არიან სანიმუშო მსაჯები, მაგრამ შეუძლებელია, რომ თამაშის პირველივე წამიდან შენ და შენი გუნდი მაგრები იყოთ და ყველაფერში მსაჯი იყოს დამნაშავე. ფესვგამდგარი ტრადიციაა მსაჯის მკვდრისა და ცოცხლის გინება, თითქოს შენ ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდე.

გულშემატკივრობის ამგვარი ტრადიცია სამარცხვინოა. ვითარება კი საბრალო. გარემო — სრული უკუნი. ხეპრეობა ფეხბურთს ვერ შველის.

მაგრამ გულშემატკივარი გულშემატკივარია. ყველა ქვეყანაში ასეა. ან იყო ასე და ნელ-ნელა გადააჩვიეს. თუ ვერ გადააჩვიეს და, მატჩი იმგვარადაა ორგანიზებული, რომ ამ გულშემატკივართაგან ხიფათი ნაკლები უნდა იყოს. ჩვენთან, პერიფერიაზე მატჩები არანაირად არ არის ორგანიზებული და სტადიონები გულშემატკივართა ხელშია. თბილისში საქმე უფრო ადამიანურად იყო ხოლმე, რადგან თბილისში ასეთი გულშემატკივარი ცოტაა, მაგრამ აჰა, მოხდა, იმიტომ, რომ სტადიონი გულშემატკივართა ხელში მოექცა. სტადიონი კი ფეხბურთის და პოლიციის ხელში უნდა იყოს, ასეთი რამ ჩვენთან არ იციან და პოლიციამაც არ იცის სასტადიონო მუშაობა. ეჭვი არავის უნდა შეპარვოდა, რომ ბოლნისელი გულშემატკივრები მარცხს არ შეურიგდებოდნენ.

ისინი არასდროს ურიგდებიან მარცხს და ჰგონიათ, რომ გინებითა და მუშტით მოეხმარებიან თავიანთ გუნდს. ისინი გულშემატკივრები არიან და მათი გონების და გემოვნების საკითხია, როგორ მოიქცევიან. შენ კი სტადიონი და თამაში უნდა დაიცვა.

მსაჯს შეეშალა თუ არ შეეშალა, პოლიციის საქმე არ არის. პოლიცის საქმე სტადიონის კონტროლია. ესეც საჭირო იქნება ახალ ქვეყანაში. ხომ ხედავთ, უკვე ყველაფერი საჭიროა.

ასე დასრულდა ეს ჩემპიონატი.

სამაგალითო და ჯიგრული კი ის იყო, რომ ბოლნისელი როინ ონიანი წიხლქვეშ გაგდებულ გვერდით მსაჯს გადაეფარა. ოღონდ, ეს ფეხბურთიდან არ არის. უფრო სხვა ამბიდანაა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები

**ტუნისი 0:4 იტალია**

0:1 ბუაზიზი (15ს.კ.), 0:2 კანავარო (27), 0:3 პირლო (86), 0:4 ძამბროტა (90)
იტალია: ბუფონი, პანუჩი (ოდო 46), ნესტა (ფერარი 46), კანავარო (მატერაცი 46), ძამბროტა, პეროტა (გატუზო 46), კ. ძანეტი (პირლო 46), კამორანეზი, ტოტი (კასანო 46), დელ პიერო (ფავალი 72), ვიერი (კორადი 62)
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)
20 000 მაყურებელი





ჯოვანი ტრაპატონიმ ალესანდრო დელ პიეროს და იტალიის ტაში დაუკრა

## მახსოვს პირველად...

**იტალიის** ნაკრების ყველაზე შთამბეჭდავი რგოლი, ალბათ, თავდასხმაა, მიუხედავად იმისა, რომ ჯოვანი ტრაპატონის ევროპის ჩემპიონატზე საერთოდაც საკმაოდ თანაბარი და ძლიერი შემადგენლობა მიჰყავს. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ ტუნისთან ამხანაგური შეხვედრისას თვალი უნებურად „სკუადრა აძურას" თავდასხმისკენ გარბოდა და ამ თავდასხმამ გაამართლა კიდეც — თანწყობილად მოქმედებდა. შეგახსენებთ, ტუნისი ხელწამოსაკრავი გუნდი არ გახლავთ, ის აფრიკის ჩემპიონია.

იტალიელთაგან ამ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო სტეფანო ფიორემ, რომელიც კუნთმა შეაწუხა, თუმცა მთავარი ვარსკვლავები, ფრანჩესკო ტოტი, ალესანდრო დელ პიერო და კრისტიან ვიერი თავს ჩინებულად გრძნობდნენ.

ჯოვანი ტრაპატონიმ ტუნისელებს 4-2-3-1 სისტემა დაუპირისპირა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს განლაგება თამაშის მსვლელობისას ძალიან იოლად და მოქნილად გადადის 4-4-2-ზე.

მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა ამხანაგური იყო, დელ პიერომ და ტოტიმ იმთავითვე იწვნიეს ტუნისელი მცველების სარმათა სიმწვავე, რამაც ისინი სამართლიანად გააბრაზა.

ანგარიში კი მე-15 წუთზე კურიოზულად გაიხსნა: ტოტის ჩაწოდებულ ბურთზე მასპინძელმა მცველმა ბუაზიზიმ თავი საკუთარი კარის მიმართულებით ჰკრა და აღმოაჩინა, რომ მეკარე ამას არ ელოდა. ერთი სიტყვით, აფრიკის ჩემპიონის კარში კომიკური გოლი გავიდა.

ამის შემდეგ, 27-ე წუთზე „სკუადრა აძურას" კაპიტანმა ფაბიო კანავარომ მეორე შეაგდო. აღსანიშნავია, რომ ეს გახლდათ გამოცდილი მცველის პირველი გოლი ეროვნული გუნდის შემადგენლობაში. ეს გოლი ტოტის ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა. ტუნისელმა მცველებმა კანავარო თავიანთ საჯარიმოში აბსოლუტურად უმეთვალყურეოდ დატოვეს.

მესამე გოლი ანდრეა პირლომ შეაგდო (მანაც პირველად), ოღონდ მანამდე დიდი დრო გავიდა და ტრაპატონიმ შემადგენლობაც საკმაოდ შეცვალა. პირლომ ჯარიმიდან დაუმიზნა ბურთი, ხოლო მსაჯის წამატებულ, შეხვედრის 91-ე წუთზე ჯანლუკა ძამბროტამ გაიტანა მეოთხე. ესეც კანავაროსი და პირლოსი არ იყოს, მისი პირველი გოლი გახლდათ „სკუადრა აძურას" მაისურით.

მატჩის შემდეგ ტრაპატონიმ განაცხადა:

„ჩემთვის ამ შეხვედრაში ყველაზე მნიშვნელოვანი გუნდის ფიზიკური მომზადების და თავდადების დანახვა გახლდათ. იქნებ ვინმემ თქვას, ეს იოლი გამარჯვება იყოო, მაგრამ არა, ამ შეხვედრას მძიმე პირველი ტაიმი ჰქონდა და მეტოქის დასამარცხებლად დიდი მიწოლა დაგვჭირდა. ძალიან მომეწონა დელ პიეროს თამაშიც, ერთადერთი, რაც მას აკლდა, გოლი იყო, მაგრამ მთავარია, რომ ალექსი ყოველ მომდევნო შეხვედრაში უკეთ გამოდის. ფრანჩესკო ტოტისა და კრისტიან ვიერისთან ერთად მან რამდენიმე დიდებული კომბინაცია გაითამაშა. რაც შეეხება კასანოს, თქვენ ყველამ ნახეთ, რამდენად საშიშია ეს ფეხბურთელი, როდესაც მეტოქე უკვე დაღლილია, ის კი დასვენებული ერთვება საქმეში და თავს ესხმის. საერთოდ, ჩვენს გუნდში სადღეისოდ ასეა: არიან ფეხბურთელები, რომლებიც უკონკურენტოდ არიან, თუმცა არის პოზიციები, სადაც გვარიანი კონკურენციაა. მოკლედ, ის შეგრძნება, რომ თვითონ სათადარიგოა და ძირითადში მხოლოდ კერძო შემთხვევაში მოხვდება, ფაქტობრივად, არავის აქვს".

ანდრეა პირლო: „ჯარიმა კარგად დავარტყი და მიხარია „სკუადრა აძურაში" ჩემი პირველი გოლი რომ შევაგდე. ვიცი, ზოგი ამბობს, რომ დღეს ჩვენი ნაკრები ზედმეტად შემტევი ორიენტაციისაა, მაგრამ ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. მე, როგორც ცენტრალური ნახევარმცველი, „მილანშიც" და აქაც ბალანსის პოვნას ვცდილობ".

ფაბიო კანავარო: „ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ ნაკრებში თამაში სიამოვნებას მანიჭებს და აქ ვარჯიშითაც კი სიხარულით ვვარჯიშობ. მთელი ჩვენი გუნდი გრძნობს, რომ მართლა დიდი შედეგის მიღწევა შეუძლია".

**ბაბუნა ქედია**

**ესტონეთი 2:2 დანია**

0:1 ტომასონი (28), 1:1 ვიიკმაე (77), 1:2 პერესი (80), 2:2 ლინდპერე (90)
დანია: სორენსენი, ჰენრიკსენი, ლაურსენი (კროლდრუპი 46), ნ. იენსენი (ბოგელუნდი 73), ჰლვეგი, გრონკიაერი (ლოვენკრანდსი 46), ტომასონი (სანდი 66), კ. იენსენი (კ. პერესი 67), დ. იენსენი, კ. პოულსენი, რომედალი
მწვრთნელი: მორტენ ოლსენი
მსაჯი: რუუდ ბოსენი (ჰოლანდია)
3 000 მაყურებელი

## ოლსენს ტალინში დანია გაუკვირდა

ევრო 2004-ის მონაწილე დანიამ ტალინში ესტონეთს ვერ მოუგო. „ვიკინგებმა" ზედიზედ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი მიაფუჩეჩეს.

იონ დალ ტომასონმა ანგარიში შეხვედრის დაწყებიდან ნახევარ საათში გახსნა. დენის რომედალმა საჯარიმოში მცველები ჩამოიცილა და ბურთი უმეთვალყურეოდ დარჩენილ ძილანელს მიაწოდა, რომელსაც გატანა არ გასჭირვებია.

დანიელები მეორე ტაიმის განმავლობაშიც ხშირად სტუმრობდნენ ესტონელთა საჯარიმოს. უპირატესობის მიუხედავად, „ვიკინგებმა" ვერ იხეირეს და მასპინძლებმა ისინი დასაჯეს. კირსტენ ვიიკმაემ თავური დარტყმით გაათანაბრა.

სტუმრებს გამარჯვების შანსი შეცვლაზე სამი წუთის შესულმა კენეტ პერესმა დაუბრუნა. მან მეკარის მოგერიებულს დაამატა და დანია კვლავ დააწინაურა.

ესტონელებს იღბალი შეეწიათ. ბოლო წუთზე ლინდპერეს გასროლილმა ბურთმა მცველის ფეხისგან მიმართულება შეიცვალა და ტომას სორენსენის კარში აღმოჩნდა. „ხარისხი და სიზუსტე გვაკლდა. მოგებული მატჩი დავთმეთ. მსგავსი შეცდომები ევროპის ჩემპიონატის მონაწილე გუნდს არ ეკადრება. წუნი პორტუგალიამდე უნდა აღმოვფხვრათ" — თქვა მორტენ ოლსენმა.

დანიელებს მომდევნო ამხანაგური შეხვედრა 5 ივნისს კოპენჰაგენში, ხორვატიასთან ელით.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ისლანდია 2:3 იაპონია**

1:0 ჰელგუსონი (5), 1:1, 1:2 კუბო (21, 36), 2:2 ჰელგუსონი (50), 2:3 სანტოსი (573)
გაძევება: ბ. გუნარსონი (82, ისლანდია)

**შოტლანდია 4:1 ტრინიდადი**

1:0 ფლეტჩერი (6), 2:0 ჰოლტი (14), 3:0 გ. კოლდუელი (23), 4:0 ქვოში (34), 4:1 ს. ჯონი (55)

**უელსი 1:0 კანადა**

1:0 პერი (21)

**მოზამბიკი 1:1 სვაზილენდი**

1:0 ნელინიო (43), 1:1 მაზია (833)

**ალჟირი 1:1 იორდანია**

0:1 შელბაიეჰი (18), 1:1 ჩერადი (60)

# ვინ? პრანდელისა და ტოტის ორი სკუდეტო

*ჩეზარე პრანდელი ორიოდ დღეა, რაც „რომას" ჩაუდგა სათავეში და უკვე თავის ჩამოყალიბებულ გეგმებზე ლაპარაკობს. პირველი, რაც პრანდელიმ საზოგადოებას გაანდო, მისი ყოფილი გუნდიდან, „პარმადან" ალბერტო ჯილარდინოს და მატეო ფერარის გადაბირების სურვილი გახლდათ*



ჩეზარე პრანდელი

„გულწრფელად რომ გითხრათ, ძალიან მსურს კვლავ ვითანამშრომლო იმ ბიჭებთან, რომლებთან ერთადაც გასულ სეზონში მეხუთე ადგილზე გავედი. არ მინდა ახალ კლუბზე მისვლის დღეებშივე ზეწოლა გამომივიდეს, მაგრამ ზაფხულში „რომას" ხელმძღვანელებთან ერთად სატრანსფერო საკითხებზე აუცილებლად ვიმუშავებ" — უთხრა პრანდელიმ „ლა გაძეტა დი პარმას".

მოგეხსენებათ, პრანდელის „რომას" მწვრთნელად დანიშვნა „რომადან" ფაბიო კაპელოს წასვლის შემდეგ, 24 საათში გამოცხადდა.

„ამ თემაზე, მანამდე, დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში ვსაუბრობდით, მაგრამ ბოლო დღეებში რომაელებმა დიდი ზეწოლა მოახდინეს და საბოლოოდ ყველაფერზე შევთანხმდით — თქვა მწვრთნელმა, რომელმაც ერთადერთი, რაც მკაფიოდ ვერ დაგვიხატა, მისი მომავალი გუნდის განლაგება გახლდათ — სწორედ ახლა ვფიქრობ ამ საკითხზე და ვვარაუდობ, აქაც ის 4-2-3-1 სისტემა დავამუშავო, რომელიც „პარმაში" კარგად გამოვიყენე. „რომას" ჩინებული ყმაწვილთა აკადემია აქვს და ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემთვის საჭირო ფეხბურთელებს მალე ვიპოვნი. მე ამ გუნდის სათავეში იმიტომ მოვდივარ, რომ ხანგრძლივი, დიდი პროექტის განხორციელება მსურს, თორემ დაუყოვნებლივ „სკუდეტო" რომ მოეთხოვათ, არ დავყაბულდებოდი".

არადა, აქვე უნდა ითქვას, რომ პრანდელის „რომაში" მიყვანით ძალიან კმაყოფილი დარჩა გუნდის კაპიტანი და ვარსკვლავთვარსკვლავი, სულ სხვა ჭკუაზე მყოფი ფრანჩესკო ტოტი.

„პრანდელი სწორედ ის კაცია, ვინც დღეს ყველაზე მეტად გვჭირდებოდა. ვიცი, მასზე დაყრდნობა შეიძლება და მჯერა, რომ „სკუდეტოს" მოგვაგებინებს" — თქვა ფეხბურთელმა, რომელსაც დღეს ყველაზე მეტად ხანგრძლივვადიანი პროექტის წევრობა არ უნდა.

შეგახსენებთ, რომ „რომას" წინაშე სერიოზული ფინანსური პრობლემებია, რომელთა გამო გუნდიდან წავიდნენ ვალტერ სამუელი, ჯონათან ძებინა და ფრანსისკო ლიმა. როგორც ჩანს, აუცილებლად წავა ემერსონიც, ხოლო მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს მოულოდნელ გაქცევაზე ხომ საერთოდ ლაპარაკი ზედმეტია.

საინტერესოა, რომ ტოტიმ კაპელოზე საუბარს თავი აარიდა. როდესაც ჰკითხეს, ხომ არ გიჯობდა „რომას" სათავეში ისევ ყოფილი შეფი ყოფილიყოო, ღიმილით მიუგო: ვინ?

და რას შესძლებს „რომაში" პრანდელი? ამაზე ცნობილი სპეციალისტი, ბოლო წლებში „პარმას" კონსულტანტი არიგო საკი ასე ამბობს:

„მან გასულ სეზონში დაამტკიცა, რომ ურთულეს პირობებსაც კარგადართმევს თავს. ერთადერთი, რაც მაფიქრებს, ესაა: ხომ არ შეუწუხებს დედაქალაქის გუნდი დაუყოვნებლივ ჩემპიონობის მოთხოვნით გულს? ბოლო ორ წელიწადში პრანდელი ერთ-ერთი საუკეთესო იტალიელი მწვრთნელთაგანია. ის წარმატებას იმსახურებს როგორც კაცი და როგორც თავისი საქმის უბადლო მცოდნე".

ბოლოს კი დავასრულოთ იმით, რითაც დავიწყეთ — ალბერტო ჯილარდინოთი.

„ოცნება მაქვს — ამბობს ახალგაზრდა თავდამსხმელი — მინდა პრანდელის ხელმძღვანელობით ფრანჩესკო ტოტისა და ანტონიო კასანოს მხარდამხარ ვითამაშო".

ასე რომ, გამორიცხული არაფერი.

**ბაბუნა ქედია**

# ევრო-2004. B ჯგუფი: საფრანგეთი, ინგლისი, შვეიცარია ხორვატია



საქართველო 0:0 შვეიცარია. საპორტუგალიოდ შვეიცარიელებს თბილისში მოპოვებული ქულაც შეეშველათ

# კუნის არია: შვეიცარია

შვეიცარია ევროპის ჩემპიონატზე ფავორიტთა შორის რომ არ მოიხსენიება, არც ახალი ამბავია და არც გასაკვირი უნდა იყოს ვინმესთვის. თუმცა, თუ გახსოვთ და, ცხადია, გეხსომებათ, რაკი შვეიცარია და საქართველო ერთ შესარჩევ ჯგუფში იყვნენ, შვეიცარია არც შესარჩევ ეტაპზე ითვლებოდა ფავორიტად. ჩვენთან ერთად ჯგუფში ირლანდია და რუსეთი იყვნენ და პირველობას რომელიმე მათგანს უქადდნენ. მაგრამ ჩვენს ჯგუფში პირველ ადგილზე შვეიცარია გავიდა და ახლაც, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ათიოდე დღით ადრე, მათი მწვრთნელი კობი კუნი ამბობს: „ჩვენი მიზანი მეოთხედფინალში გასვლაა. შვეიცარია პატარა საფეხბურთო ერია, მაგრამ სრულ კონცენტრაციას თუ მოვახდენთ და თავდაუზოგავად ვიმუშავებთ, ყველაფერი შესაძლებელია.“

შვეიცარია თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს. კუნის ფავორიტი ტაქტიკა: 4-3-1-2 მაინცდამაინც თვალსასეირო არ არის, მაგრამ ეფექტს ხშირად იძლევა. ნაკრები კი ძმები იაკინების გარშემოა აგებული. მურატი დაცვის ცენტრში, ჰაკანი კი თავდამსხმელების უკან თამაშობს.

ცხადია, ფეხბურთში ყველაფერი ხდება, მაგრამ შვეიცარიას ჯგუფში აშკარად არ გაუმართლა. ევროპის ჩემპიონი საფრანგეთი, ფავორიტთაგანი ინგლისი და ამოუცნობი ხორვატია — ასეთ საზოგადოებაში სასურველი შედეგის მიღწევა შვეიცარიისთვის თითქმის წარმოუდგენლად მოჩანს.

მეორე მხრივ კი, შვეიცარიელები თამაშების განრიგით არიან კმაყოფილები. კუნის თანაშემწე მიხაელ პონტი ამგვარად განსჯის: „პირველ მატჩში ხორვატიას ვხვდებით და გამარჯვების ურიგო შანსი არ გვაქვს. მომდევნო მეტოქე ინგლისია, ბოლოს კი საფრანგეთს ვეთამაშებით, რომელსაც შესაძლოა, ჯგუფიდან გასვლა იქამდეც განაღდებული ჰქონდეს. ასე რომ...“

— ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ჩვენსას ვეცდებით — დასძინა პონტიმ.

იქაური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, რალფ ზლოსზოვერს კი არანაირი გათვლები არ გაუკეთებია, პირდაპირ, ალალად თქვა, ყველაზე მეტად ფრანგებთან გაგვიჭირდებაო: „ხორვატია ჩვენი დონის გუნდია და გამარჯვების კარგი შანსი გვაქვს. ინგლისთანაც შეგვიძლია ქულების აღება, რაკი ინგლისური სტილის წინააღმდეგ ჩვენი სტილი ეფექტურია, საფრანგეთთან კი, რა მოგახსენოთ.“

# მწვრთნელი

## 60 წლის ახალგაზრდა



იაკობ კუნი

**როცა წინა** ოქტომბერს, შესარჩევი ციკლის გადამწყვეტ მატჩში შვეიცარიამ ბაზელის „სენტ იაკობ პარკზე“ ირლანდიას 2:0 მოუგო და 1996 წლის მერე პირველად გააღწია დიდ საერთაშორისო ტურნირზე, გადაჭედილმა ტრიბუნებმა ერთხმად დასჭექეს „ჰეფი ბერზდეი“ — მეორე დღეს კობი კუნის დაბადების დღე იყო, 60 შეუსრულდა.

ის დღე ღირსშესანიშნავი იყო იმითაც, რომ შვეიცარიის ნაკრები დიდ შეჯიბრზე, როგორც იქნა, შვეიცარიელმა მწვრთნელმა გაიყვანა. იქამდე 12 წლის მანძილზე ნაკრებს უცხოელები წვრთნიდნენ, რომელთაგან გამორჩეული იყო ინგლისელი როი ჰოჯსონი, ვინაც გუნდი ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე და ევრო 96-ზე გაიყვანა.

ნაკრები კი კუნმა არგენტინელი ენცო ტროსეროსგან ჩაიბარა და შემადგენლობა ძირფესვიანად არ შეუცვლია, თუმცა ახალი თაობის ფეხბურთელებს მეტი გასაქანი მისცა. ერთი სიტყვით, ჭაბუკური ენერგია გამოცდილებასთან შეახამა.

თავად კობი კუნი ახალგაზრდობაში ნახევარმცველი იყო — უფრო შემქმნელი, ვიდრე ჩამშლელი. 60-70-იან წლებში მან 64-ჯერ ითამაშა შვეიცარიის ნაკრებში და „ციურიხთან“ ერთად მნიშვნელოვან საკლუბო წარმატებებსაც მიაღწია — ექვსჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და ხუთჯერ თასიც მოიგო. ამით უპირველესად იმის თქმა გვსურს, რომ ფეხბურთელ კუნს გამარჯვებულის მენტალიტეტი ჰქონდა და სამი ათეული წლის მერე ეს მენტალიტეტი ნაკრებსაც ჩაუნერგა.

— ჩვენი წარმატების საიდუმლო სათქმელად მარტივია, მაგრამ ძნელად შესასრულებელი — განმარტავს კუნი — თითოეულ ფეხბურთელს აბსოლუტურად მკაფიოდ უნდა ესმოდეს, რა მიზანს ვისახავთ. თითოეულმა ფეხბურთელმა ზუსტად უნდა იცოდეს მოედანზე თავისი და ყოველი თანაგუნდელის ფუნქცია.

კობი კუნი თავის დროზე შვეიცარიის 17-წლამდელთა და ახალგაზრდულ ნაკრებებსაც წვრთნიდა, შარშან ნოემბერში კი ფედერაციამ მას მიმდინარე კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაუხანგრძლივა. ანუ, შვეიცარიის ნაკრებს კუნი გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატისთვისაც მოამზადებს. იქამდე კი — ხორვატია, ინგლისი, საფრანგეთი და ეგებ კიდევ ვინმე...



# ევრო-2004. B ჯგუფი: საფრანგეთი, ინგლისი, შვეიცარია ხორვატია

## ვერაგი თურქი

### ჰაკან იაკინია და შეუცვლელია

*შვეიცარიელთაგან თუ ვინმეს ძალუძს ამ ევროპის ჩემპიონატზე გაბრწყინება, ეს ჰაკან იაკინია. თურქული წარმოშობის პლეიმეიკერი ვერაგულად ურტყამს საჯარიმოებს და ბურთი თუ მოიხელთა, ძალიან ძნელად რომ ვინმემ აართვას*



— ჩვენ მისი შემცვლელი არ გვყავს — თქვა იაკინზე კობი კუნმა — ის რომ არ გვყავდეს, მთელი სქემა გვექნება შესაცვლელი და ორი გამთამაშებლით მოგვიხდებოდა თამაში — იაკინი ორი კაცის სამყოფ სამუშაოს ასრულებს.

სხვათა შორის, შვეიცარია შესარჩევ ჯგუფში მხოლოდ ერთხელ დამარცხდა, მოსკოვში 1:4 წააგო და იმ მატჩში ჰაკან იაკინს არ უთამაშია.

მან შესარჩევ ციკლში შვიდი მატჩი ჩაატარა და სამი გოლი გაიტანა. მისი „ბაზელი" კი, გეხსომებათ, შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის ნაღდი აღმოჩენა იყო. იმ სეზონის მერე იაკინს მსურველთა გრძელი რიგიც დაუდგა, რამდენიმე ესპანური და გერმანული კლუბი ეპატიჟებოდა, მაგრამ მყესის ქრონიკულმა ტრავმამ მსურველები დააფრთხო.

საბოლოოდ წინა ზაფხულს იაკინმა „პარი სენ ჟერმენთან" გააფორმა წინასწარი კონტრაქტი, მაგრამ იმავე ზაფხულს კლუბის უკითხავად ოპერაცია გაიკეთა, რამაც ფრანგები გააღიზიანა და გარიგებაც ჩაიშალა.

თუმცა ცუდ ამბებსაც აქვთ დასასრული და გამოჯანმრთელებული იაკინი ისე „ბაზელს" დაუბრუნდა, სადაც ისევ ლიდერია.

ევროპის ჩემპიონატზე შვეიცარიელთა შანსებზე კი თავად იაკინი ამბობს: „თქმაც არ უნდა, ძალიან ძლიერი მეტოქეები გვყავს და ჯგუფიდან გასვლა ძალიან გაგვიჭირდება. მაგრამ ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ არ ვიბრძოლებთ. რაც შეგვიძლია, ის თუ გავაკეთეთ, მეოთხედფინალში გასვლა წარმოუდგენელი სულაც არ იქნება."

იაკინი „ბაზელამდე" „სენტ გალენსა" და „გრასჰოპერში" თამაშობდა. სანაკრებო დებიუტი კი 2000 წლის თებერვალში ომანის წინააღმდეგ ჰქონდა. 30 მატჩში 13 გოლიც გაიტანა.

## გზა პორტუგალიამდე

X შესარჩევი ჯგუფი

| | |
|---|---|
| 08.09.2002 | შვეიცარია 4:1 საქართველო |
| 12.10.2002 | ალბანეთი 1:1 შვეიცარია |
| 16.10.2002 | ირლანდია 1:2 შვეიცარია |
| 02.04.2003 | საქართველო 0:0 შვეიცარია |
| 07.06.2003 | შვეიცარია 2:2 რუსეთი |
| 11.06.2003 | შვეიცარია 3:2 ალბანეთი |
| 10.09.2003 | რუსეთი 4:1 შვეიცარია |
| 11.10.2003 | შვეიცარია 2:0 ირლანდია |

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 8 | 4 | 3 | 1 | 15:11 | 15 |
| რუსეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 19:12 | 14 |
| ირლანდია | 8 | 3 | 2 | 3 | 10:11 | 11 |
| ალბანეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:15 | 8 |
| საქართველო | 8 | 2 | 1 | [illegible] | 8:14 | 7 |

## ავტორიტეტი

ნებისმიერ ნაკრებს თუ გუნდს, გნებავთ დიდი იყოს, გნებავთ უსახელო, სჭირდება თუნდაც ერთი ისეთი ფეხბურთელი, შავი სამუშაოს შესრულება რომ შეეძლება. შვეიცარიის ნაკრებში ასეთი ფეხბურთელი იოჰან ვოგელია.

ვოგელი საყრდენი ნახევარმცველია და პირველ რიგში მისი დამსახურებაა, მის უკან მყოფი მცველები თავს შედარებით უსაფრთხოდ რომ გრძნობენ. თუმცა როგორც ზოგადად შავი სამუშაოს შემსრულებელი ფეხბურთელებისა, მისი გაკეთებული საქმეც დაუკვირვებელი თვალისთვის ნაკლებად ჩანს.

ვოგელი ვეტერანი ფეხბურთელია და ევრო 96-ზეც ითამაშა. მაშინ ის 19 წლის იყო, ნაკრებში პირველად ერთი წლით ადრე მიიწვიეს, შვეიცარია საბერძნეთს ხვდებოდა.

დღეს, 27 წლის ვოგელის გარეშე ნაკრები, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია და 60-ზე მეტი კეპიც აქვს მოხვეჭილი. 22 წლისა კი ვოგელი ნაკრების კაპიტანიც შეიქნა.

60-ზე მეტი მატჩი და მხოლოდ ორი გოლი — ვოგელი შვეიცარიისთვის გოლებით არ ფასობს.

ახლა ნაკრების კაპიტანი სხვაა, მაგრამ ვოგელის ავტორიტეტი ძველებური დარჩა.



იოჰან ვოგელი

პროფესიონალ მოთამაშედ ვოგელი 16 წლისა გახდა. 1992-93 წლების სეზონში პირველად მოირგო „გრასჰოპერის" მაისურა და შვიდი წელი გაატარა ციურიხულ კლუბში. სამჯერ გახდა შვეიცარიის ჩემპიონი და ორი სეზონი ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშა.

1999 წლის ზაფხულში ჰოლანდიაში, „პსვ ეინდჰოვენში" გადავიდა და სწორედ შავი სამუშაოს დაუზარლად შესრულებისთვის იქაურ ფანთა ფავორიტად იქცა.

ვოგელი სამჯერ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი.

## ბევრის მნახველი და ბევრის გამტანი

**ევროპის** ჩემპიონატის დასრულების მერე სტეფან შაპუიზა სანაკრებო ფეხბურთიდან მიდის. სამშობლოს ის 15 წელი ემსახურა.

34 წლის იანგბოიზელი 19 წლისა იყო, ბრაზილიასთან სათამაშოდ პირველად რომ დაუძახეს ეროვნულ გუნდში. მას მერე მან 99-ჯერ ითამაშა ნაკრებში და 21 გოლითაც შეეწია გუნდს. ამ გოლებიდან ერთი ამ შესარჩევ ციკლში გაიტანა. პორტუგალიური ჩემპიონატი კი მისთვის მესამე დიდი სანაკრებო ტურნირია.

შაპუიზა უკვე კარგა ხანია არის ეროვნული გმირი. ევრო 96-ის მონაწილეთაგან კი ის ოთხთაგანია. მის გარდა რვა წლის წინ შვეიცარიის ნაკრებში ვოგელი, სტეფან ანშო და რაფაელ ვიკი თამაშობდნენ.

შარშან შაპუიზას და კუნს შორის თითქოს შავმა კატამაც გაირბინა. ერთ-ერთი მატჩისას მწვრთნელმა შაპუიზა სკამზე დასვა და თავდამსხმელმაც ჩათვალა, საჭირო აღარ ვარო. თუმცა მერე ყველაფერი მოგვარდა და კუნმა შაპუიზა საპირისპიროში დაარწმუნა.

სტეფანმა 1997 წელს „დორტმუნდში" თამაშისას ჩემპიონთა ლიგაც მოიგო.

შვეიცარიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის, პიერ ალბერტ შაპუიზას შვილმა პროფესიული კარიერა „ლოზანაში" დაიწყო, მერე გერმანიაში ითამაშა და ხუთი წლის წინ სამშობლოში, „გრასჰოპერსში" დაბრუნდა. ბოლო ორი სეზონი კი „იანგ ბოიზში" გაატარა.

საკლუბო ფეხბურთიდან წასვლას კი შაპუიზა ჯერჯერობით არ ფიქრობს, თუ, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობამაც ხელი შეუწყო.



ზურაბ ხიზანიშვილი და სტეფან შაპუიზა

# რუბრო ნეგროს სირცხვილი



REUTERS

ატლ. მინეირო — სანტოსი. სტუმარ რობინიოს „ფეხზე ასხდნენ“

## ბრაზილია

**სერია A. VIII ტური**

ფლუმინენსე — კრისიუმა 1:1; პონტე პრეტა — ჟუვენტუდე 0:1; ფიგეირენსე — პაისანდუ 1:1; ვიტორია — ინტერნასიონალი 2:1; პალმეირასი — კურიტიბა 2:0; გოიასი — ფლამენგო 2:2; ვასკუ და გამა — ბოტაფოგო 4:0; სან პაულუ — კორინთიანსი 1:1; ატლ. მინეირო — სანტოსი 3:3; გუარანი — პარანა 1:0; გრემიო — სან კაეტანო 1:2; ატლ. პარანენსე — კრუზეირო 3:1

ბრაზილიის ყველაზე პოპულარულ კლუბს, „ფლამენგოს“ კვლავაც არ მოუგია თამაში. მორიგ ტურში „მენგომ“ ორბურთიანი უპირატესობა გაფლანგა „გოიასთან“ გასვლით მატჩში.

საერთობრაზილიური ჩემპიონატის რვა ტური ისე მიილია, რომ „რუბრო-ნეგროსმა“ (შავ-წითლებმა) მხოლოდ ოთხი ქულის აღება შესძლეს და 24-გუნდიან ცხრილში 22-ე ადგილზე არიან.

„ფლამენგომ“ თავდამსხმელ ნეგრო რუშისა და ბერიკაც ზინიოს გოლებით მოიგო პირველი ტაიმი. მაგრამ მეორეში ორჯერ შეაგო გოიასელმა ალეშ დიაშმა. მან მეორე საერთოდაც 84-ე წუთზე გაიტანა, მაშინ, როცა „მენგოს“ ნახევარდაცვამ დარდუბალურად დაკარგა ბურთი.

„უკეთესია, არაფერი ვთქვა — ჩაილაპარაკა „ფლამენგოს“ მწვრთნელმა აბელ ბრაგამ თამაშის შემდეგ — ზოგიერთი მოთამაშე საერთოდაც არ იმსახურებს ჩვენი გუნდის მაისურას“.

ტანჯული „კორინთიანსი“ „სან პაულუსთან“ მიღწეულმა ფრემ გაახარა. 1:1-მა იღბლიანი დებიუტი აჩუქა „კორინთიანსის“ ბოლო ათ თვეში მეხუთე მწვრთნელ ტიტეს. ტიტემ ოსვალდო ოლივეირა შეცვალა, რომელიც წინა კვირას ძლივს გადაურჩა გულშემატკივართა რისხვას 0:5-ის წაგების შემდეგ. „სან პაულუ“, ბრაზილიის ერთადერთი წარმომადგენელი ლიბერტადორესის თასის ნახევარფინალში, ცხრილში მეორეა და მხოლოდ უარესი ბურთებით ჩამორჩება ლიდერ „კრისიუმას“.

„კორინთიანს“— „სან პაულუს“ მხოლოდ 17 ათასი მოსეირე დაესწრო 80-ათასიან „მურუმბის“ სტადიონზე. ფაბიო სიმპლისიოს გოლმა „სან პაულუ“ კი დააწინაურა, მაგრამ რენატომ პირველ ტაიმშივე უპასუხა კარგი საჯარიმო დარტყმით.

გულშემატკივართა სიმეჩხერე „სან პაულუს“ დირექტორმა მარკო აურელიო კუნიამ თავისებურად ახსნა: „ჩვენი გულშემატკივრები უფრო ლიბერტადორესის თასის თამაშს ელიან. „კორინთიანსის“ ფანებს კი თავიანთი გუნდის ცქერისა რცხვენიათ. ამიტომ, ხალხი ცოტა იყო“.

**ლუჟაუ დუ მოზბაუ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრისიუმა | 8 | 4 | 3 | 1 | 15:11 | 15 |
| სან პაულუ | 8 | 4 | 3 | 1 | 12:9 | 15 |
| პალმეირასი | 8 | 4 | 2 | 2 | 16:5 | 14 |
| ატლ. პარანენსე | 8 | 4 | 2 | 2 | 13:6 | 14 |
| სან კაეტანო | 7 | 4 | 2 | 1 | 13:6 | 14 |
| ფიგეირენსე | 8 | 4 | 2 | 2 | 10:7 | 14 |
| ინტერნასიონალი | 8 | 4 | 2 | 2 | 7:5 | 14 |
| კრუზეირო | 8 | 4 | 2 | 2 | 14:13 | 14 |
| პონტე პრეტა | 8 | 4 | 2 | 2 | 8:7 | 14 |
| ვიტორია | 8 | 4 | 1 | 3 | 18:10 | 13 |
| ფლუმინენსე | 8 | 3 | 4 | 1 | 9:7 | 13 |
| ჟუვენტუდე | 7 | 3 | 2 | 2 | 11:6 | 11 |
| გოიასი | 8 | 3 | 2 | 3 | 15:15 | 11 |
| პარანა | 8 | 3 | 1 | 4 | 10:17 | 10 |
| გრემიო | 8 | 2 | 4 | 2 | 12:11 | 10 |
| ატლ. მინეირო | 8 | 1 | 6 | 1 | 11:11 | 9 |
| ვასკუ და გამა | 8 | 2 | 2 | 4 | 10:9 | 8 |
| გუარანი | 8 | 2 | 2 | 4 | 5:8 | 8 |
| კორინთიანსი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:20 | 8 |
| სანტოსი | 8 | 2 | 1 | 5 | 11:17 | 7 |
| კურიტიბა | 8 | 1 | 4 | 3 | 5:8 | 7 |
| ფლამენგო | 8 | 0 | 4 | 4 | 7:14 | 4 |
| ბოტაფოგო | 8 | 0 | 4 | 4 | 8:18 | 4 |
| პაისანდუ | 8 | 0 | 3 | 5 | 9:17 | 2 |

# წამოდი ბაჯო წამოდი!

რობერტო ბაჯომ, შესაძლოა, აზიელ ქომაგთა წინაშე ერთი გამოსათხოვარი შეხვედრაც მოაწყოს. ეს, ალბათ აგვისტოში მოხდება, როდესაც „ბრეშა“ იაპონიაში გაემართება.

საქმე ის გახლავთ, რომ ბრეშელები საწვრთნელი ტურის შორეულ აღმოსავლეთში მოწყობას აპირებენ, ოღონდ ამას თავიდან ფულის საშოვნელად არ აპირებდნენ. ერთი სიტყვით, თავდაპირველი გეგმის თანახმად, რობერტო ბაჯო იაპონიაში არ მიდიოდა, მაგრამ შემდეგ გაახსენდათ, რომ დიდ „ცხენისკუდას“ ამომავალი მზის ქვეყანაში აურაცხელი ქომაგი ჰყავს და თუ თან იახლებენ, ტრიბუნები უეჭველად გადაევსებათ.



საინტერესოა, რომ 37 წლის ვარსკვლავმა ერთი ხნის წინ „მილანთან“ ერთად ჩინეთში გამგზავრების წინადადება მიიღო, მაგრამ უარი განაცხადა. „მილანმა“ ჯუზეპე სინიორი წაიყვანა.

**პაპუნა ქედია**

## არგენტინა

**კლაუსურა. XVI ტური**

ტალიერესი — ოლდ ბოიზი 1:0; ლანუსი — ინდეპენდიენტე 1:1; რასინგი — რივერ პლეიტი 1:2; ჩაკარიტა — კილმესი 2:1; ნუევა ჩიკაგო — ბანფილდი 0:2; როსარიო — კოლონი 0:1; ატლეტიკო — ესტუდიანტესი 3:1; ბოკა ხუნიორსი — არსენალი 3:0; ხიმნასია — სან ლორენსო 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 16 | 11 | 3 | 2 | 36:16 | 36 |
| ბოკა ხუნიორსი | 16 | 10 | 4 | 2 | 32:14 | 34 |
| ტალიერესი | 16 | 8 | 4 | 4 | 25:17 | 28 |
| რასინგი | 16 | 8 | 3 | 5 | 28:24 | 27 |
| ბანფილდი | 16 | 7 | 4 | 5 | 21:15 | 25 |
| კილმესი | 16 | 6 | 6 | 4 | 18:16 | 24 |
| კოლონი | 16 | 7 | 3 | 6 | 18:22 | 24 |
| ველესი | 15 | 6 | 4 | 5 | 25:18 | 22 |
| სან ლორენსო | 16 | 5 | 7 | 4 | 17:14 | 22 |
| არსენალი | 16 | 5 | 7 | 4 | 16:20 | 22 |
| ატლეტიკო | 16 | 5 | 4 | 7 | 21:22 | 19 |
| ლანუსი | 16 | 5 | 4 | 7 | 20:23 | 19 |
| ინდეპენდიენტე | 16 | 4 | 7 | 5 | 18:22 | 19 |
| ესტუდიანტესი | 16 | 5 | 4 | 7 | 18:26 | 19 |
| ოლდ ბოიზი | 16 | 3 | 9 | 4 | 26:24 | 18 |
| ნუევა ჩიკაგო | 16 | 2 | 10 | 4 | 16:22 | 16 |
| ოლიმპო | 15 | 3 | 5 | 7 | 12:22 | 14 |
| ხიმნასია | 16 | 2 | 7 | 7 | 18:22 | 13 |
| ჩაკარიტა | 16 | 2 | 7 | 7 | 16:29 | 13 |
| როსარიო | 16 | 2 | 4 | 10 | 14:27 | 10 |

## პოლონეთი

**I ლიგა. გადადებული მატჩი**

ოდრა 1:2 პლოცკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 24 | 20 | 1 | 3 | 67:27 | 61 |
| ლეგია | 24 | 16 | 6 | 2 | 46:17 | 54 |
| ამიცა | 24 | 13 | 6 | 5 | 45:23 | 45 |
| გროცლინი | 24 | 11 | 7 | 6 | 53:30 | 40 |
| პლოცკი | 25 | 10 | 7 | 8 | 40:38 | 37 |
| ლეხი | 24 | 9 | 6 | 9 | 39:32 | 33 |
| გურნიკი | 24 | 8 | 9 | 7 | 26:30 | 33 |
| ოდრა | 25 | 8 | 4 | 13 | 26:38 | 28 |
| ლეჩნა | 24 | 8 | 3 | 13 | 20:38 | 27 |
| კატოვიცე | 24 | 6 | 7 | 11 | 17:37 | 25 |
| პოლონია | 24 | 5 | 7 | 12 | 22:36 | 22 |
| პოლკოვიცე | 24 | 6 | 4 | 14 | 17:35 | 22 |
| სვიტი | 24 | 5 | 6 | 13 | 20:39 | 21 |
| ვიძევი | 24 | 4 | 7 | 13 | 25:43 | 19 |

## უკრაინა

**თასის ფინალი**

**შახტარი 2:0 დნიპრო**

1:0 ბელიკი (1), 2:0 ტიმოშჩუკი (90)
გაძევება: სტოიკანი (28, შახტარი), შელაეკი (30, დნიპრო)
70 000 მაყურებელი

## მოლდოვა

**თასის ფინალი**

**ზიმბრუ 2:1 შერიფი**

1:0 მანოლილი (1), 1:1 ს. კუზნეცოვი (45), 2:1 ფრანკუსი (65)
გაძევება: გუმენიუკი (69, შერიფი)
6 000 მაყურებელი

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

**B ჯგუფი. II ტური**

**გერმანია 1:2 შვედეთი**

0:1 იონსონი (49), 0:2 ელმანდერი (62), 1:2 აუერი (84)

**შვეიცარია 2:2 პორტუგალია**

1:0 ვილანტენი (58), 1:1 კ. მარტინსი (66პ), 1:2 უგო ალმეიდა (71), 2:2 კულაკჩიზოღლუ (85)
გაძევება: რიკარდუ კოშტა (82, პორტუგალია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |

## აშშ

**MLS. IX ტური**

ნიუ იორკი 1:0 კანზასი

## მექსიკა

**კლაუსურა. პლეი ოფი**
**1/4 ფინალი**
**საპასუხო მატჩები**

ხაგუარესი — კრუზ ასული 2:2 (1:2); გვადალახარა — ატლანტე 3:1 (0:2); უნამი — ატლასი 3:1 (2:1); ამერიკა — ტოლუკა 0:1 (2:3)

# ზამერის ბოლო ზარი



მათიას ზამერი ტომაშ როსიცკის და „დორტმუნდს“ გაეყარა

**მათიას ზამერის** დორტმუნდული სამწვრთნელო კარიერა დასრულდა.

გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი „ბორუსიაში“ 1993 წლიდან თამაშობდა და 1997-ში ჩემპიონთა ლიგაც მოიგო.

„შავ-ყვითლების“ თავკაცი კი 2000 წელს გახდა. ორ სეზონში გუნდმა მის ხელქვეით ბუნდესლიგის ჩემპიონობა იზეიმა, უეფას თასის ფინალში კი „ფეიენოორდთან“ დამარცხდა.

ჟღალთმიანი მწვრთნელის ბედი „ბორუსიას“ წარუმატებლობამ გადაწყვიტა. კლუბის უფროსობამ წლევანდელი მეექვსე ადგილი დაიწუნა, დორტმუნდელები უეფას თასზეც ვერ მოხვდნენ.

აღსანიშნავია, რომ მათიას ზამერს კონტრაქტი 2006 წელს უმთავრდებოდა, მაგრამ: „ჩვენ გულახდილად ვისაუბრეთ და მივედით დასკვნამდე — ახლა საუკეთესო მომენტია მწვრთნელის შესაცვლელად. გუნდს ასე სჭირდება“ — განაცხადა პრეზიდენტმა გერდ ნიებაუმმა.

ნიებაუმმა ისიც თქვა, რომ შესაძლოა, ამ კვირაში ახალი თავკაცი მონახონ. სავარაუდო კანდიდატთა შორისაა „ფეიენოორდის“ მწვრთნელი ბერტ ვან მარვიიკი, რომლის კონტრაქტის ვადა როტერდამულ კლუბთან ახლახან დასრულდა.

მათიას ზამერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების შემადგენლობაში 23-ჯერ, გაერთიანებული გერმანიის მაისურით კი 51-ჯერ უთამაშია. 1996 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო საკლუბო დონეზე დრეზდენის „დინამოს“, „შტუტგარტის“ და მილანის „ინტერის“ ფეხბურთელი ყოფილა.

გუშინ გამოცხადდა, რომ ზამერი ახალი სეზონიდან სწორედ „შტუტგარტს“ გაწვრთნის. ზამერმა ფელიქს მაგათის ყოფილ გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ვაჟა ხუციშვილი**


იყიდება!

პერსონალური კომპიუტერები

პენტიუმ 1 (150 MHZ)
ოპერატიული მეხსიერება — 64 MB, HDD — 1,2 GB,
ვიდეო მეხსიერება — 1 MB,
Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — SAMSUNG SYNCMASTER 15”

ფასი — 100 $

პენტიუმ 1 (166 MMX)
ოპერატიული მეხსიერება — 38 MB, HDD — 2,0 GB,
ვიდეო მეხსიერება — 1-4 MB (On Board),
Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — LG STUDIOWORKS 15”

ფასი — 100 $

ტელეფონი: 39-48-29, 38-11-14

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

**12 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 001 | პორტუგალია-საბერძნეთი | 1,55 | 3,3 | 7,0 | 1,05 | 1,26 | 2,24 |
| 23.45 | 002 | ესპანეთი-რუსეთი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |

**13 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 003 | შვეიცარია-ხორვატია | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 23.45 | 004 | საფრანგეთი-ინგლისი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |

**14 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 005 | დანია-იტალია | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 23.45 | 006 | შვედეთი-ბულგარეთი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |

**15 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 007 | გერმანია-ჰოლანდია | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| 23.45 | 008 | ჩეხეთი-ლატვია | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |

**16 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 009 | საბერძნეთი-ესპანეთი | 7,0 | 3,5 | 1,5 | 2,33 | 1,23 | 1,04 |
| 23.45 | 010 | რუსეთი-პორტუგალია | 5,6 | 3,4 | 1,6 | 2,11 | 1,24 | 1,08 |

**17 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 011 | ინგლისი-შვეიცარია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 23.45 | 012 | ხორვატია-საფრანგეთი | 6,0 | 3,5 | 1,55 | 2,21 | 1,23 | 1,07 |

**18 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 013 | ბულგარეთი-დანია | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 23.45 | 014 | იტალია-შვედეთი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |

**19 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 015 | ლატვია-გერმანია | 7,5 | 4,0 | 1,4 | 2,6 | 1,17 | 1,03 |
| 23.45 | 016 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |

**20 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 017 | ესპანეთი-პორტუგალია | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.45 | 018 | რუსეთი-საბერძნეთი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |

**21 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 019 | ხორვატია-ინგლისი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 23.45 | 020 | შვეიცარია-საფრანგეთი | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |

**22 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 021 | იტალია-ბულგარეთი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.45 | 022 | დანია-შვედეთი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |

**23 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 023 | ჰოლანდია-ლატვია | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.45 | 024 | გერმანია-ჩეხეთი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |

| | 6001 ჩემპიონი | 6101 ფინალი | 6201 ჯგ.Iადგ. | 6301 ჯგ.გავა | 6401 ჯგ.ვერ.გავა |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4,5 | 2,2 | 1,75 | 1,15 | 4,0 |
| იტალია | 4,5 | 2,2 | 1,65 | 1,12 | 4,4 |
| პორტუგალია | 6,0 | 3,0 | 2,1 | 1,2 | 3,5 |
| ესპანეთი | 6,0 | 3,0 | 2,1 | 1,25 | 3,1 |
| ინგლისი | 6,0 | 3,0 | 2,5 | 1,3 | 2,8 |
| ჰოლანდია | 8,0 | 4,0 | 2,5 | 1,3 | 2,8 |
| ჩეხეთი | 12,0 | 6,0 | 2,8 | 1,5 | 2,2 |
| გერმანია | 15,0 | 7,0 | 3,1 | 1,55 | 2,1 |
| შვედეთი | 25,0 | 12,0 | 4,5 | 1,9 | 1,7 |
| დანია | 30,0 | 13,0 | 4,6 | 1,95 | 1,65 |
| რუსეთი | 50,0 | 25,0 | 8,0 | 3,2 | 1,23 |
| ხორვატია | 50,0 | 20,0 | 8,0 | 2,9 | 1,27 |
| ბულგარეთი | 50,0 | 25,0 | 7,5 | 2,9 | 1,27 |
| საბერძნეთი | 75,0 | 35,0 | 8,0 | 3,8 | 1,16 |
| შვეიცარია | 75,0 | 35,0 | 12,0 | 3,8 | 1,16 |
| ლატვია | 200,0 | 75,0 | 30,0 | 8,0 | 1,02 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **შვედეთი. სუპერეტა. VII ტური** | | | | | | |
| | **1 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | ვესტეროსი-ოპერა | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| | **ნორვეგია. ტიპელიგა. IX ტური** | | | | | | |
| | **1 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | ოდ გრენლანდი-მოლდე | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| | **ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. IV ტური** | | | | | | |
| | **1 ივნისი** | | | | | | |
| 00.15 | აკრანესი-აკურეირი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 00.15 | გრინდავიკი-ფრამი | 2,25 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,26 | 1,49 |
| 00.15 | ვესტმანაეიარი-რეიკიავიკი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 00.15 | ვიკინგური-ჰაფნარფიორდური | 3,8 | 3,2 | 1,8 | 1,73 | 1,22 | 1,15 |
| | **2 ივნისი** | | | | | | |
| 01.00 | ფილკირი-კეფლავიკი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| | **სლოვაკეთი. I ლიგა. XXXIV ტური** | | | | | | |
| | **1 ივნისი** | | | | | | |
| 20.30 | ჟილინა-პუხოვი | 1,17 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,03 | 3,21 |
| 20.30 | დუბნიცა-რუჟომბეროკი | 2,05 | 3,1 | 3,1 | 1,23 | 1,23 | 1,55 |
| 20.30 | ბ.ბისტრიცა-ტრენჩინი | 1,25 | 4,6 | 8,0 | 1 | 1,08 | 2,92 |
| 20.30 | პეტრჟალკა-ინტერი | 2,1 | 3,0 | 3,1 | 1,23 | 1,25 | 1,52 |
| 20.30 | სლოვანი-ტრნავა | 2,45 | 3,1 | 2,5 | 1,36 | 1,23 | 1,38 |
| | **პოლონეთი. თასი. ფინალი. II მატჩი** | | | | | | |
| | **1 ივნისი** | | | | | | |
| 23.15 | ლეგია-ლეხი | 1,4 | 3,8 | 6,5 | 1,02 | 1,15 | 2,39 |
| | **ევროპის ჩემპიონატი. 21 წლამდე** | | | | | | |
| | **1 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | იტალია(21)-ხორვატია(21) | 1,6 | 3,4 | 4,8 | 1,08 | 1,2 | 1,99 |
| 23.45 | ბელარუსი(21)-სერბია(21) | 2,7 | 3,1 | 2,35 | 1,44 | 1,25 | 1,33 |
| | **2 ივნისი** | | | | | | |
| 21.15 | შვეიცარია(21)-შვედეთი(21) | 2,2 | 3,1 | 2,5 | 1,28 | 1,17 | 1,38 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.15 | გერმანია(21)-პორტუგალია(21) | 2,15 | 3,1 | 3,0 | 1,26 | 1,25 | 1,52 |
| | **მჩ შესარჩევი მატჩები (ს.ამერიკა)** | | | | | | |
| | **1 ივნისი** | | | | | | |
| 01.00 | ბოლივია-პარაგვაი | 2,6 | 3,2 | 2.45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 03.00 | ვენესუელა-ჩილე | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| 05.40 | ურუგვაი-პერუ | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| | **2 ივნისი** | | | | | | |
| 02.00 | ეკვადორი-კოლუმბია | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 05.40 | ბრაზილია-არგენტინა | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | **1 ივნისი** | | | | | | |
| 23.15 | ჰოლანდია-ფარერები | 1,02 | 6,0 | 25,0 | 1 | 1 | 4,83 |
| 24.00 | ინგლისი-იაპონია | 1,45 | 3,5 | 6.0 | 1,02 | 1.16 | 2,21 |
| | **2 ივნისი** | | | | | | |
| 15.00 | კორეა-თურქეთი | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,41 | 1,24 | 1,35 |
| 20.30 | ჩეხეთი-ბულგარეთი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 23.45 | ირლანდია-იამაიკა | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 23.45 | შვეიცარია-გერმანია | 2,9 | 3,2 | 2,2 | 1,52 | 1,25 | 1,3 |
| 04.30 | აშშ.-ჰონდურასი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | **3 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | ლიხტენშტაინი-საბერძნეთი | 20,0 | 6,0 | 1.03 | 4,61 | 1 | 1 |
| | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | **2 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | ტაუ-ესტუდიანტესი | 1,2 | 10,0 | 3,5 | 1,07 | 1 | 2,59 |
| | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | **2 ივნისი** | | | | | | |
| 23.15 | პანათინაიკოსი-მარუსი | 1,12 | 10,0 | 4,4 | 1 | 1 | 3,05 |
| | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | **1 ივნისი** | | | | | | |
| 05.00 | დეტროიტი-ინდიანა | 1,4 | 10,0 | 2,4 | 1,22 | 1 | 1,93 |


CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

# ოქრო რუსულიც ტკბილია

## ცინცაძე ჩემპიონობას სკამზე შეხვდა



შარშან „ბასკოში“ მოპოვებულ ამ ვერცხლს გიორგი ცინცაძემ წლეულს ცსკა-ს ოქრო მიამატა

*აგერ, კიდევ ერთი ქართველი ჩემპიონი — გიორგი ცინცაძე. მეზობელ რუსეთში აქამდე არც ერთ ქართველს არ მოეგო ოქრო, წლეულს კი ეს ცსკა-ს ქორფა უკანახაზელმა, ძირითადად დუბლიორთა გუნდში მოთამაშე და სუპერლიგაში სამიოდ მატჩში ნაბურთავებმა გიორგი ცინცაძემ, იგივე ჟორიკამ მოახერხა. სიმბოლურად და ჩვენს გასახარად ცინცაძე „უნიკსთან“ ფინალური სერიის ბოლო ორ მატჩში ცსკა-ს სათადარიგო სკამზე იჯდა, თუმც მოედანზე ისეთი ძვლების ყრა იყო, დუშან ივკოვიჩს მისი შეშვება არც უფიქრია...*

— საქართველოსი ვერა და რუსეთის ჩემპიონი ხარ. გილოცავ, თუმც მილოცვებით უკვე დაღლილიც იქნები...

— ჰო, რა ვიცი, მოლოცვით ბევრმა მოგვილოცა, მაგრამ მთავარი მაინც გუშინწინ გადახდილი ბანკეტი იყო, სადაც თასი, ოქროს მედლები და საჩემპიონო ბეჭდები გადმოგვცეს.

— ეგ საჩემპიონო აქსესუარები შენც დაიმსახურე? ძირითად გუნდში ხომ მხოლოდ სამი შეხვედრა ჩაატარე...

— არ აქვს მნიშვნელობა, რამდენს ვითამაშებ, მთავარია, რომ ძირითადი გუნდის წევრი ვარ. მედალიც გადმომცეს და საჩემპიონო ბეჭედიც. ძალიან გამიხარდა, პირველი ქართველი ვარ, რომელიც რუსეთის ჩემპიონი გახდა.

— ფინალში არ უნდა გაგჭირვებოდათ...

— მოსკოვურ მატჩებში არ გაგვიჭირდა, კაზანში კი „უნიკსმა“ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია.

— შენც წაყევი გუნდს, ამ ბოლო დროს ხომ არ გათამაშებდნენ?

— არც მითამაშია, მაგრამ ამჯერად განაცხადში ვიყავი, რაც ჩემთვის საკმარისი პატივია. მოსკოვში 2 გამარჯვების შემდეგ კაზანშიც ამდენი მატჩი გავმართეთ. ორივე გასვლით შეხვედრაში სათადარიგოებში ვიყავი, მაგრამ მოედანზე არ გავსულვარ.

— ასეთი რა გააკეთე, პრინციპული მატჩების განაცხადში რომ შეგიყვანეს?

— არაფერი, უბრალოდ ამერიკელი ვიქტორ ალექსანდერი მოულოდნელად გუნდიდან წავიდა და განაცხადში უცხოელის ადგილი გამოთავისუფლდა. ალექსანდერი რომ წავიდა, არც კი მიფიქრია, რომ კაზანში წამიყვანდნენ. ამ ამბავმა უზომოდ გამახარა, არც კი მჯეროდა.

— მოედანზე გასვლაზე არ გიფიქრია?

— არა, ვიცოდი, რომ კაზანში ჩემი სათამაშო არ იქნებოდა. მასპინძლებმა ისეთი ბრძოლა გაგვიმართეს, მე კი არა, ცსკა-ს ლიდერებს გაუჭირდათ...

— თუმც საბოლოოდ მაინც იოლად მოიგეთ სერია — 3:1...

— საბოლოო ანგარიშიდან ეგრე ჩანს, მაგრამ 2:1-ს რომ ვიგებდით, გადამწყვეტ მატჩში დიდი ომი გადავიტანეთ. კაზანელებმა 0:2 ჩამორჩენის შემდეგ მესამე მატჩი იოლად მოგვიგეს. მეოთხე შეხვედრაში კი ბოლო წუთებზე, უდაბულეს ბრძოლაში გავხდით ჩემპიონები.

— ალბათ კაზანის დარბაზი გადაირია...

— იქ რა ხდებოდა, ვერ აგიხწერ, მაყურებლებმა იქაურობა ხომ დაანგრიეს, ჩვენც შემოგვიტიეს. თამაშის ბოლოს გადარეულმა გულშემატკივრებმა როგორღაც მოთამაშეებთან მოახერხეს მოსვლა და ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა.

— შენც მოგიწია მუშტების ქნევამ?

— ჩემი საჩხუბარი იქ არ იყო, ისეთი გოლიათები იქნევდნენ მუშტებს... მთელი ჩვენი წინა ხაზი იბრძოდა — დრაგან ტარლაჩი, მირსად თურქჯანი, ვიქტორ ხრიაპა... მოკლედ, თამაშში რომ ვერ გვაჯობეს, კაზანის გულშემატკივრები ჩხუბზე გადავიდნენ. საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

— ბანკეტმა ხომ მშვიდობიანად ჩაიარა?

— რა თქმა უნდა, რესტორანში მხოლოდ გუნდელები ვიყავით და ვის უნდა ეჩხუბა. რაც მთელი სეზონი დასალევისთვის პირი არ დაეკარებინათ, ბიჭებმა ბანკეტზე იჯერეს გული. დიდებული სუფრა და დაჯილდოვების ცერემონიალი იყო. ყველაზე კარგი კი ჩემთვის ის იყო, რომ ამ სიხარულის და გამარჯვების ნაწილი ვიყავი... ბანკეტის მერე, გვიან ღამით, ცსკა-ს რამდენიმე რუს მოთამაშესთან ერთად დისკოთეკაზე წავედი და იქ მოგვილო ბოლო სასმელმა. მე მაინც ახალგაზრდა ვარ და ვერიდებოდი, სერგეი მონია და ცსკა-ს რამდენიმე მოთამაშე ძალიან მაგრა დათვრა.

— ახლა რას აპირებ?

— 2 ივნისს იტალიაში მივდივარ, ტრევიზოს ტრადიციულ კემპზე. მანამდე კი აქ ვარ, ცსკა-ს სპონსორები ალბათ პრემია-საჩუქრებს დაგვირიგებენ. გუნდის რუსული შემადგენლობა გუშინ გაფრინდა ნორილსკში, სადაც ცსკა-ს მთავარ სპონსორის „ნორილსკნიკელის“ ხელმძღვანელობას შეხვდება.

— შენ რად დარჩი?

— მხოლოდ რუსები წავიდნენ. ეს რატომ გააკეთეს, არ ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ ზანგები იქ გაიყინებოდნენ, მინუს 10 გრადუსია. მე რომ გავიგე, ვრჩებოდი, ძალიან გამიხარდა, ძლივს დათბა ამ გაყინულ მოსკოვში და კიდევ ნორილსკი მინდოდა?! რაც მერგება, აქაც მივიღებ.

**ირაკლი პერტაია**



REUTERS

დეტროიტელ რაშიდ ვოლესს თავი ალბათ უკვე ფინალში ჰგონია

2004 NBA Playoffs

კონფერენციის ფინალი

# ინდი-მინდი ჩვენ არ ვიცით

## დეტროიტს ფინალი დაესიზმრა

30 მაისი

**აღმოსავლეთი**

**ინდიანა 2:3 დეტროიტი**

**ინდიანა 65:83 დეტროიტი**

**ინდიანა:** ტინსლი (8), მილერი (5), არტესტი (13 ქულა, 11 მოხსნა), ონილი (11), კროშერი (2); ჯონსი (13), ჰარინგტონი (9), ჯონსონი (4), ფოსტერი, ბენდერი

**დეტროიტი:** ბილაფსი (7), ჰამილტონი (33), პრინსი (9), რ. ვოლესი (22), ბ. ვოლესი (1 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება); უილიამსონი (5), ჰანტერი (2), ოქური (2), ჰემი (2), კემპბელი, ჯეიმსი

„დეტროიტ პისტონზი“ ერთ მოგებამდე მიუახლოვდა დიდ ფინალს. ლარაი ბრაუნის შეგირდები „ინდიანასთან“ სერიის მეექვსე მატჩს შინ მართავენ და თუ მოიგებენ, 1990 წლის შემდეგ პირველად მოიპოვებენ უძლიერეს დასავლელთან საჩემპიონო სერიაში შებმის უფლებას. ეს არცთუ ძნელად ამოსახსნელი ამოცანაა, „დეტროიტი“ ერთი თავით სჯობს „ინდიანას“, რის დასტურადაც გუშინწინდელი მატჩი გამოდგება. აქ მიჩიგანელებმა ინდიანელებს ნათლად მიანიშნეს — მართალია, რეგულარულ ჩემპიონატში ყველაზე მეტი, 61 თამაში მოიგეთ, მაგრამ პლეი ოფში ჯერაც შეგირდები ხართ და აღმოსავლეთის ფინალი თქვენი შესაძლებლობების ჭერიაო.

თავად „დეტროიტისთვის“ ძნელი დასადგენია, მისი ჭერი სად გადის. ავტოქალაქელები რაც პლეი ოფში დაბრუნდნენ, სულ წინ მიიწევენ, შარშანწინ მეორე რაუნდში გავიდნენ, შარშან მესამეში, რაც აღმოსავლეთის ფინალი გახლავთ, წლეულს კი უფრო შორს იყურებიან — ერთი გამარჯვების იქით დიდი ფინალია.

ალალიც იქნება „დეტროიტზე“, სადღეისოდ ეს საუკეთესო გუნდია აღმოსავლეთში და ქომაგებიც ყველაზე ერთგულები ჰყავს — ინდიანაპოლისში არაერთი დეტროიტელი ჩავიდა და დარბაზში შესულ ლარი ბრაუნის შეგირდებს იქ „შინაური“ ტრანსპარანტები დახვდათ — „პისტონზს“ მალე ფინალში ვიხილავთო. ალბათ ასეც იქნება, იმ დღეს კი მათ თავისი ჯილების კიდევ ერთი გამარჯვება იხილეს. „ინდიანა“ ეწინააღმდეგებოდა „სტუმარს“, მაგრამ ბევრი არაფერი გამოსდიოდა და საწყის წუთებს თუ არ ჩავთვლით, მთელი თამაში ამაოდ სდია მეტოქეს: ბოლო მეოთხედის ერთ მონაკვეთში 18-ქულიანი ჩამორჩენა 5-მდე შეამცირა, მაგრამ საქმის ბოლომდე მისაყვანად არც არაქათი ეყო და არც დრო.

ბებერ რეჯი მილერს კვლავ აჯობა ახალგაზრდა და ხალისიანმა ოპონენტმა რიჩარდ ჰამილტონმა, ვინაც ამ ჯერზე მთელი 33 ქულა უთავაზა „ინდიანას“ და პირადი საპლეიოფო რეკორდი განაახლა. ივაჟკაცეს ვოლესებმაც — რაშიდმა შეტევაში, ბენჯამინმა კი დაცვაში. „ინდიანას“ ერთდარეთმა ხეირიანმა მეფარემ ჯერმენ ონილმა ამით მხოლოდ 11 ქულა და 6 მოხსნა დაუპირისპირა. „ინდიანა“ ისედაც არაა განებივრებული ნიჭიერი მექულეებით, ხშირად დაცვის ხარჯზე გადის ფონს და რა გასაკვირია, რომ მატჩში სულ 65 ქულა ჩაუგდო „დეტროიტს“.

**კოტე ყორშია**



ბაირონ სკოტი კრაზანების ბუდეში მოხვდა

# ბაირონმა ბაირონი იცნო

„ნიუ ორლეან ჰორნეთსს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს. რამდენიმე დღის წინ გაშვებული ტიმ ფლოიდის ადგილს „ნიუ ჯერსი ნეთსის“ ყოფილი მწვრთნელი ბაირონ სკოტი დაიკავებს. სკოტმა „ნეთსი“ ზედიზედ ორჯერ — 2002 და 03 წლებში პლეი ოფის ფინალში გაიყვანა, მაგრამ ეს სეზონი არცთუ დამაჯერებლად დაიწყო და გუნდიდან დაითხოვეს. ხედავთ, იგი დიდი ხნით არ დარჩენილა უმუშევარი, ნიუ ორლეანში დაუძახეს და ერთიორი ინტერვიუს შემდეგ გუნდიც ჩააბარეს.

სკოტს გამგებიან მწვრთნელად იცნობენ და ეს ამბავი ბევრ მოთამაშეს გაუხარდა. „კრაზანების“ ლიდერი ბაირონ დევისი კაბინეტს გარეთ იცდიდა და სკოტი იქიდან რომ უკვე მწვრთნელის რანგში გამოვიდა, ძველი მეგობარივით გადაეხვია. „ბავშვობიდან მახსოვს სკოტი, მეჯიქი, ქარიმი და მთელი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ — ამბობს დევისი, რომელიც დაბადებით ლოს ანჯელესიდან გახლავთ — ბედნიერი ვარ, მწვრთნელად ის რომ დაგვინიშნეს.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როლან გაროსი. პარიზი. თიხნარი. საპრიზო 13 263 280 €

# ვეღარ გაუძრა ფრანგულმა

## როლან გაროსს ინგლისურენოვანები მიეძალნენ



ტიმ ჰენმანმა იპოვა, რასაც ეძებდა

REUTERS

30 მაისი. კვირა

### ინგლისელი პარიზში

ტიმ ჰენმანს აქამდე როლანგაროსობის კი არა, უიმბლდონის მეტი, არც ერთი სლემტურნირის მეოთხედფინალში არ ეთამაშა. ის ახლა უკვე 29 წლისაა და, თუკი ერთ-ერთი ყველაზე დამთრგუნველი საკარიერო ნავსის გატეხვას მაინცდამაინც ასეთი ჭარმაგი მოახერხებდა, აბა, ვინ იფიქრებდა.

მაგრამ საქმეც სწორედ ეგ არის, რომ ამ ბოლო დროს ნატიფი კუნძულელი ძალზედ თავისუფლად ანუ ისე აბურთავდა, მისი უდავო ნიჭისა და გემოვნების მაქსიმალურად გამოხატვისთვის რომ იყო საჭირო. შედეგად — შარშანდელი სეზონი მან პარიზში კარიერის პირველი მასტერსტიტულით მოიგვირისტა.

ურიგოდ იგი არც წლეულს გამოდის და, თუკი მისი საკუთრივ საროლანგაროსო ჩაუქობით ვიმსჯელებთ, ასი პროცენტით გამორიცხულად უკვე ველარც ის ჩაითვლება, კარიერისავე პირველი სლემტიტულიც მან პარიზში რომ იშოვოს.

არადა, იქაურ სეფეთიხნარზე მას აქამდე რვაჯერ ეცადა ბედი და მესამე წრეს ერთხელაც ვერ გასცილებოდა. ეს არც არავის უკვირდა, რაკილა ჰენმანი თითქმის უკანასკნელი „მოაწოდე-მიეძალე“ ყაიდის მეჩოგნეა. ასეთი სტილის ოსტატებს კი ნიადაგ უჭირთ ხოლმე ნელ თიხნარსაფარზე, სადაც მოწოდება ნიველირდება და ბადესთან მიძალების სანაცვლოდ უკანახაზიდან ხანგრძლივი, მომაბეზრებული გლაჯუნი ფასობს.

თიხნართან არაადაპტირებულობის გარდა ჰენმანის პრობლემად ხშირად უხასიათობაც დაუსახელებიათ. თუმცა პირველი როლანგაროსული კვირის განმავლობაში კუნძულელმა ყველას უჩვენა, რომ განვითარება და წინსვლა საჩოგბურთო თვალსაზრისით ხანდაზმულობისასაც შეიძლება. ყველაზე ნათლად კი მან ეს პირველ და მეოთხე წრეებში დაგვიმტკიცა, როცა ფრანგებთან — წინა ორშაბათს სირილ სოლნიესთან, ხოლო გუშინწინ მიშელ ლოდრასთან ბულრაობისას წაგებული პირველი სეტების შემდეგ სადავეთა უკუპყრობა და მატჩების შემოტრიალება შეძლო.

ამათ შორის კი ბრიტანელმა სეტისწაუგებლად სძლია გერმანელ ლარს ბიურგსმიულერსა და ესპანელ გალო ბლანკოს. სანახევარფინალო საგზურს მას დღეს წოწოლა არგენტინელი ხუან იგნასიო ჩელა შეეცილება.

შეგახსენებთ, რომ ჰენმანს შვიდჯერ მიუღწევია უიმბლდონური მეოთხედფინალისთვის, ამ შვიდიდან ოთხჯერ გაუვაკნია კიდეც, თუმცა მშობლიური სლემტურნირის ფინალამდე ერთხელაც ვერ მისულა.

თუკი ის ჩელას გავლასაც შეძლებს, მაშინ კარლოს მოიასა და გილერმო კორიას შორის უმჯობესს შეხვდება, თუმცა — ეს ამბავი ჯერ გრამოფონშია.

ჩვენ კი ისიც მოვიგონოთ, რომ უკანასკნელი ბრიტანელი, ვისაც რაგინდარა სლემტიტული მოურეწავს, ვირჯინია უედი იყო. მან 1977 წელს უიმბლდონზე იმარჯვა. უკანასკნელი ბრიტიშ ხვადი, ვინაც ასევე რაგინდარა სლემტურნირზე გაილაღა ფრედ პერი გახლდათ — მან 1936 წელს აშშ-ის ღია პირველობა მოიგო. პერივე იყო როლანგაროსობის მომგები უკანასკნელი ბრიტიც — პარიზული სეფეთიხნარი მან 1935 წელს აიკლო.

### ფრანგთა ბოლო, ოღონდ მთავარი

სამიოდ დღის წინ ვწერდით, მესამე წრეში ექვსი კაცი ფრანგებს რა ხანია, აღარ ჰყოლიათ-ჩვენთქი. აჰა, უკვე ორი წრე გამოხდა და ამ ექვსიდან მასპინძელ ქომაგებს ერთიც აღარ შერჩათ — ზოგი ფრანგებმა თვითონვე დაჩოგნეს, დანარჩენები კი სხვებს დაეჩოგვნინენ.

ერთადერთი, მამალთა სამფეროვანი დროშა ჯერაც ღონივრად რომ უპყრია, 27 წლის მძლავრი დედათმავალი, ამელი მორესმო გახლავთ. ამან მეოთხე წრეში ბულგარელ მაგდალენა მალეევას გადაუარა და ნახევარფინალში გასასვლელად ახლა სანდომიან რუსგოგოს, ელენა დემენტიევას უნდა ერკინოს.

მეოთხედფინალი კარგია, მაგრამ მე იმის იქით მინდაო, ამბობს მორესმო. 22 წლის დემენტიევა კი, ვინაც იქ უკვე მეექვსედ თამაშობს, მაგრამ მეოთხე წრეს მხოლოდ პირველად გაბიჯა, ამელისთან დაპირისპირების სირთულეზე საუბრობს — ძალიან მაგარ ფორმაშია და მაგას რა მოერევაო.

სხვათა შორის, ასევე ფიქრობს დემენტიევას მიერ ოტებული ლინდსი დევენპორტიც — „ის და ვინუსი ახლა უმთავრესი ფავორიტები არიან. არა მგონია, სერენამ და კაპრიატიმ მათ წინააღმდეგობა გაუწიონ.“

სხვაფრივ შეგახსენებთ, რომ მორესმო საუკეთესო იქაურ მიღწევად აქამდე სწორედ მეოთხედფინალში თამაშს დაიკვეხდა. დემენტიევას ის პირად ამბავში 5:2 უგებს. ხოლო უკანასკნელი ფრანგი, პარიზულ სლემტურნირზე რომ გაიპარპაშა (შორეულ 1983 წელს), შუშპარა იანიკ ნოა იყო.

### შიდადურის მოლოდინში

ტურნირის შარშანწინდელი ჩემპიონი სერენა უილიამსი ზედიზედ მეოთხე წელია, როლანგაროსულ მეოთხედფინალში ბინავდება. იქ მას მისწინანდელ ჩემპიონთან, თვისტომ ჯენიფერ კაპრიატისთან მოუწევს ბრძოლა და — ჯენის ამჟამინდელ რიგიან ფორმას და კიდევ იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ სამი კვირის წინ, რომაულ ნახევარფინალში მან ვინუსის უმცროს დას უდრტვინველად აჯობა — კაი ძალი დაგნარი უნდა ვნახოთ.

თუმცა სერენა არ მალავს, რომ ის ამთავითვე უკვე თავის დედმამიშვილთან სავარაუდო ნახევარფინალზე ოცნებობს. თუკი სერენა ჯენის, ხოლო ვინუსი იქით მისკინას აჯობებს, მამა რიჩის ასულები ერთმანეთს მეცამეტედ შეეხლებიან. წინა თორმეტის მერე უმცროსი უფროსს 7:5 უგებს, ამასთან მანვე იმარჯვა ბოლო ექვს მატჩში, რომელთაგან ხუთი სლემფინალები იყო.

სერენამ იცის, რომ კაპრიატისთანაც და, მოგების შემთხვევაში, ვინუსთანაც მას უმძიმესი შეხვედრები მოელის. ჯენისთან სულ სამსეტიანი ომები მაქვსო, ხოლო ვინუსი ახლა დაშხოშიან ფორმაშიაო, ამბობს იგი და განსხვავებული აზრები, რალა დაგიმალოთ და, ამ საკითხებზე არც ჩვენ უნდა გვქონდეს.

### სექსრიჟრაჟის პირველი სლემრვეული

მარია შარაპოვამ, რომელსაც სიყვარულით მორიგ რუსულ სექსრიჟრადაც მოვიხსენიებთ ხოლმე, კვირას გერმანელ მარლენ ვაინგარტნერს აჯობა და კარიერის პირველ სლემმეოთხედფინალს უწია.

17 წლის რუსგოგოსთვის ეს მეექვსე სლემტურნირია და საუკეთესო სლემშედეგი მას აქამდე შარშან, უიმბლდონზე ეჩვენებინა, სადაც მეოთხე წრემდეც მიატანა.



ამელი მორესმო ახლა ფრანგებისთვის კაციცაა და ქალიც

REUTERS

ნახევარფინალში მოსახვედრად მაშა ათი წლით უფროს არგენტინელს პაოლა სუარესს შეხვდება. სუარესმა, ვინაც ბოლო რვეულში აქ შარშანწინაც მოხვდა, გუშინწინ ჩინელთა მთავარ ქალმეჩოგნეს ძი წენს მოუგო. ეს წენი, სხვათა შორის, პირველი ჩინელი გახდა, რაგინდარა სლემტურნირის მეოთხე წრეში რომ გავიდა.

31 მაისი. ორშაბათი

### მეოთხე წრე

**გუსტავო კუერტენი (28, ბრაზილია) — ფელისიანო ლოპესი (23, ესპანეთი) 6:3, 7:5, 6:4; გასტონ გაუდიო (არგენტინა) — იგორ ანდრეევი (რუსეთი) 6:4, 7:5, 6:3; ლეიტონ ჰიუიტი (12, ავსტრალია) — ქსავიე მალისი (ბელგია) 7:5, 6:2, 7:6 (8:6); დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) — მარატ საფინი (20, რუსეთი) 7:5, 6:4, 6:7 (5:7), 6:3**

ჭაბუკი მეტოქის გასატეხად და მეოთხედფინალში გასავაკებლად ტურნირის სამგზის (1997, 2000, 2001) ჩემპიონ გუსტავო კუერტენს ორ საათზე ნაკლები დროს დასჭირდა.

როგორც იქნა, გააჩერეს განუთესავი რუსი იგორ ანდრეევი, ვინაც მეორე წრიდან ივით ხუან კარლოს ფერერო გააბუნძულა. ანდრეევის წარმატებულ სვლას ჩოგანი გასტონ გაუდიომ დაუსვა. ჯიშად მეთიხნარე გაუჩოს მთელი მატჩის განმავლობაში სადავეები არ გაუშვია და საბოლოო შედეგშიც არავინ დაუეჭვებია. ის თავის პირველ სლემმეოთხედფინალში ითამაშებს.

**ლევან ძელაურაძე**



დიდ ჩოგბურთში მობრუნებული ვინუს უილიამსი გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს „როლან გაროსის“ მწვერვალისკენ

REUTERS

# ნანას გაშვებული მაიას ერგო

## ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ელისტა. რუსეთი. 21 მაისი — 8 ივნისი

**მეოთხედფინალი**

ქსუ იუჰუა (ჩინეთი) — ჰუმპუ კონერუ (ინდოეთი) 0:1 (0:1)

ნანა ძაგნიძე (საქართველო) — ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 1:0 (0:1)

ტაი-ბრეიკი (0,5:0,5) (0:1)

ვიქტორია ჩმილიტა (ლიტვა) — მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) 1:0 (0:1)

ტაი-ბრეიკი (1:0) (0:1) (0:1) (0,5:0,5)

ქეთევან კახიანი-გერშინსკა (გერმანია) — ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) 0:1 (1:0)

ტაი-ბრეიკი (0:1) (0,5:0,5)

**ნახევარფინალი**

ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) — ჰუმპუ კონერუ (ინდოეთი) 1:0

ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) — მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) 0,5:0,5

ოთხი სამეოდხედფინალური მატჩიდან სამი მჯობნის გასარკვევად ტაი-ბრეიკი გახდა საჭირო. გადათამაშებაში კი მეოთხე ეტაპზე გასულმა სამივე ქართველმა მიიღო მონაწილეობა, თუმც ერთი მათგანი ქეთევან კახიანი-გერშინსკა გერმანიის სახელით გამოდის.

სამწუხაროდ, ქართული სამეულიდან მომდევნო ეტაპზე მხოლოდ ერთი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე გავიდა, რისთვისაც ახალგაზრდა ვიქტორია ჩმილიტასთან საკმაოდ დაძაბული პარტიების გადატანა მოუხდა. ტაი-ბრეიკში ქართველმა პირველივე პარტია წააგო, თუმც მეორეში უფრო საზრიანად ითამაშა და ნახევარფინალისტის გამოვლენას კიდევ ორი პარტიის დამატება დასჭირდა. მომდევნო შეხვედრებში მაიას აღარ გასჭირვებია. ლიტველს 1,5:0,5 მოუგო და ნახევარფინალშიც გავიდა.

გამარჯვებასთან ახლოს იყო ნანა ძაგნიძეც. სტეფანოვასთან ტაი-ბრეიკში ქართველმა პირველი შეხვედრა შავი ფიგურებით ყაიმით დაასრულა, თუმც განმეორებითში თეთრებით შეცდომა დაუშვა და გამარჯვება ბულგარელს დაუთმო.

ძაგნიძის მომგები სტეფანოვა ნახევარფინალში ჩიბურდანიძეს დაუპირისპირდა. პირველი პარტია ქართველის უპირატესობით წარიმართა და მე-7 სვლაზე მაია უკვე პაიკს იგებდა. თამაშის მსვლელობისას მეტოქეებმა რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს, თუმც საბოლოოდ, 47-ე სვლაზე თამაში მაინც ზავით დაასრულეს.

59 სვლა გაიწელა კოვალევსკაიასა და კონერიეს შორის შეხვედრა. მძიმე მატჩში გამარჯვება მასპინძელმა იზეიმა.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ჩემი სამშობლოს მადლიერი ვარ!

## ქეთევან კახიანი გერმანიაშიც ქართველია




*მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ერთბაშად ქართული საჭადრაკო სკოლის სამმა აღზრდილმა ითამაშა, თუმც მათგან ერთი, ქეთევან კახიანი-გერშინსკა გერმანიის სახელით ასპარეზობს. ჟურნალისტები მას ელისტაში გაესაუბრნენ. ინტერვიუში რესპონდენტი ხშირად იგონებს თავის სამშობლოს*

**— თავს როგორ გრძნობთ ყალმუხეთში და რას იტყვით ამ ჩემპიონატზე?**

— ელისტაში უკვე მეორედ ვარ და ეს ქალაქი ძალიან მიყვარს. მადლობას ვუხდი ჩემპიონატის ორგანიზატორებს, ყველაფერს თავი რომ მოაბეს და პირველობის გამართვა შეძლეს. ქალები დიდად არ ვართ განებივრებულები ასეთი შეჯიბრებებით. საწყენია, ჩემპიონატი თბილისსა და ბათუმში რამ არ გაიმართა, გამოდის, რომ სპორტი პოლიტიკაზე ყოფილა დამოკიდებული.

**— რას ფიქრობთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე?**

— სამწუხაროდ, სამშობლოში არც ისე ხშირად ჩავდივარ და ინფორმაციას ძირითადად პრესიდან ან ნათესავებთან და მეგობრებთან ტელეფონზე საუბრით ვიგებ. მე ექსპერტი არ ვარ ეს ამბები რომ გავარჩიო, თუმც ვფიქრობ, ყველაფერი უკეთესობისკენ წავა.

**— როგორ მოემზადეთ ჩემპიონატისთვის?**

— საუკეთესოდ და ამაში ჩემი რვა თვის შვილი დამეხმარა. ღამღამობით ხშირად არ მძინავს და, როგორც იცით, სტრესი ჩინებული სტიმულატორია. ალბათ ეს იყო ჩემი კარგი და ცუდი თამაშის მიზეზი.

**— იქნებ თქვენს ოჯახზეც გვიამბოთ?**

— მე და ჩემი მეუღლე უკვე 11 წელია, გერმანიაში ვცხოვრობთ და ორი შვილი გვყავს — 9 წლის დავიდი და რვა თვის მიხეილი. პროფესიით მოჭადრაკე ვარ და ტელევიზიაშიც მიწევს მუშაობა. 1993 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დავამთავრე და წინ დიდი პერსპექტივაც მელოდა, მაგრამ მე ბადენ-ბადენში ტურნირზე გამგზავრება ვარჩიე, იქ კი მომავალი მეუღლე გავიცანი და გერმანიაში გადავსახლდი. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტობა არ დამვიწყებია და ჟურნალ-გაზეთებში ხშირად ვაქვეყნებ საჭადრაკო სტატიებს.

**— რუსულად კარგად საუბრობთ, ოჯახში რა ენაზე ლაპარაკობთ?**

— მეუღლეს გერმანულად ვესაუბრები, შვილებს კი ქართულად და გერმანულად.

**— პირველ რაუნდში ვიეტნამელ მეტოქე ზიზან ან ნგუენთან თამაშზე რას იტყვით?**

— საკმაოდ გაჰიჭირდა. ეს ჩემთვის ყველაზე არასასიამოვნო წუთები იყო ჩემპიონატზე. თეთრებით ყაიმი ვითამაშე და შემდეგ შავებით მოვიგე.

**— ბოლო პერიოდში ქართულ ჭადრაკს ჩავარდნა ჰქონდა. ახლა კი ერთბაშად სამი მოჭადრაკე მოხვდით მეოთხედფინალში. რით ახსნით ამ წარმატებას?**

— ჩემი სამშობლოს მადლიერი ვარ. მართალია, გერმანიის სახელით ვთამაშობ, მაგრამ ქართული საჭადრაკო სკოლას ძალიან ვაფასებ, მას ძალიან დიდი ტრადიციები აქვს.

**— საკმაოდ კარგი ახალგაზრდობა წამოვიდა, არ გიჭირთ მათთან გამკლავება?**

— მართლაც ბევრია ახალგაზრდა და ნიჭიერი მოჭადრაკე — ნანა ძაგნიძე და კატერინ ლაჰნო... ნანას საკმაოდ მტკიცე ნერვები აქვს, ასევეა ლაჰნაც, მასაც დიდი მომავალი ელის. თამაშისას კი ყველანი ვცდებით და ეს ფაქტი შანსებს ყველას აძლევს.

**— რომელი ტურნირი ან თამაში დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?**

— გასახსენებელი ბევრი მაქვს, ორჯერ გავხდი 20-წლამდელებში მსოფლიოს ჩემპიონი. ასევე კარგად ვთამაშობ მამაკაცებს შორისაც. მომიგია კონსტანტინ საკაევისთვის, პეტერ ვოლესისთვის, ყაიმით მითამაშია ალექსანდრე გრაფთან, რუსტემ დაუტოვთან, არტურ იუსუპოვთან.

**— რა არის თქვენი ჰობი?**

— კარგი მხედარი ვარ და სამზარეულოში ტრიალიც მეხერხება, განსაკუთრებით კი ხაჭაპურის ცხობა. მიყვარს მუსიკის მოსმენაც, ჩემი საყვარელი მომღერალი რობი უილიამსია.

**— როგორ და სად გაატარებთ არდადეგებს?**

— როგორც ყოველთვის საფრანგეთში ოჯახთან ერთად.

**— როგორ გაანაწილებთ მოგებულ საპრიზო თანხას?**

— ნაწილს საქართველოში ნაცნობმეგობრებს გავუგზავნიდი. მათ იქ საკმაოდ დუხჭირი ცხოვრება აქვთ.

**ლაშა გეგეჭკორი**



87 giro d'italia — ჯირო დიტალია 2004. 8-30 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



იტალიის ახალი და ახალგაზრდა ჩემპიონი დამიანო კუნეგო

# სიმონის მგო: რატომ კუნეგო?

ველორბოლა ისეთი სპორტია, ერთი გუნდი ორ ლიდერს ვერ დაიტევს. აქ ყველა ვალდებულია, ერთზე იმუშაოს და ლიდერს წინ არ „ჩაუხტეს“. წლევანდელ ჯიროზე ყველაზე ძლიერი შემადგენლობა „საეკომ“ გამოიყვანა და გუნდის ლიდერი, თავისთავად, ჯიროს 2001 და 2003 წლების ჩემპიონი ჯილბერტო სიმონი გახლდათ. მაგრამ სიმონიმ ტიტული ვერ შეინარჩუნა, არადა, ჩემპიონი სწორედ „საეკოს“ წევრი გახდა.

23 წლის დამიანო კუნეგომ საწყის ეტაპებზევე დაამტკიცა, რომ მეხლებში ძალა მოსდევს და სიმონიზე ნაკლებად მარჯვე არაა. ჯიროს საერთო ჩათვლაში პირველობაც ჩამოართვა სიმონის. „საეკოს“ ტაქტიკოსებმაც რომ შეატყვეს, კუნეგოს ჩემპიონობის მეტი შანსი აქვსო, გუნდის მთელი ძალები მას მიაშველეს. სიმონიმ ეს რომ იგრძნო, კუნეგოსაც ეჩხუბა და სკანდალის მოწყობის შემდეგ მარტომ გადაწყვიტა ჩემპიონობაზე შეტევა. ეგაა, მე-19 ეტაპზე, რომელიც მისთვის კუნეგოს დაწევის ბოლო შანსი იყო, მან ოდესღაც მარკო პანტანის გრეგარი სტეფანო გარძელი შეიამხანაგა და 122-კილომეტრიან და მრავალ უღელტეხილიან გზას ადრეულადვე შეუტია. დახმარების საფასურად სიმონიმ გარძელის ეტაპის მოგება დაანება, მაგრამ ამ ორმა კუნეგოს ის ეტაპი მხოლოდ 52 წამით მოუგეს და საერთო ჩამორჩენას ეს არ ეყო. ჩემპიონი ეს ყმაწვილი გახდა.

ბოლო, მე-20 ეტაპი ვაკე რელიეფზე გადიოდა და საერთო ჩათვლაში პრაქტიკულად ვერაფერს შეცვლიდა. სიმონიც ბედს შეეგუა და კუნეგოსაც შეურიგდა, ყოველ შემთხვევაში ხალხის დასანახად მაინც. რაც უნდა მოხდეს, დამიანო კუნეგო უკვე ახალი ჩემპიონია და ასაკიც ხელს უწყობს იმაში, რომ ხალხმა მის დიდ მომავალზე ილაპარაკოს.

ბოლო ეტაპი კი, რომელიც მილანში მთავრდებოდა, თავისი ეპოქის ყველაზე ჩაუქმა სპრინტერმა იტალიელმავე ალესანდრო პეტაკიმ მოიგო და წლევანდელ ჯიროზე დამყარებულ რვამოგებიან რეკორდს ერთიც მიამატა



**მე-19 ეტაპი. 29 მაისი. ბორმიო — პრესოლანა. 122 კმ**

| | |
|---|---|
| 1 სტეფანო გარძელი (იტალია) ვინი კალდიროლა | 3 სთ, 52 წთ, 16 წმ |
| 2 ჯილბერტო სიმონი (იტალია) საეკო | +2 წმ |
| 3 ტადეჟ ვალჟავეცი (სლოვენია) ფონაკი | +23 წმ |
| 4 დარიო ჩიონი (იტალია) ფასა ბორტოლო | +52 წმ |
| 5 დამიანო კუნეგო (იტალია) საეკო | იგივე დრო |

**20-ე ეტაპი. 30 მაისი. კლუსონე — მილანი. 144 კმ**

| | |
|---|---|
| 1 ალესანდრო პეტაკი (იტალია) ფასა ბორტოლო | 4 სთ, 07 წთ, 01 წმ |
| 2 ბრედლი მაკგი (ავსტრალია) FDJeux.com | |
| 3 ფრანკო პელიცოტი (იტალია) ალესიო-ბიანკი | ორივე იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1 დამიანო კუნეგო (იტალია) საეკო | 88 სთ, 40 წთ, 43 წმ |
| 2 სერგეი გონჩარი (უკრაინა) დე ნარდი | +2 წთ, 02 წმ |
| 3 ჯილბერტო სიმონი (იტალია) საეკო | +2 წთ, 05 წმ |
| 4 დარიო ჩიონი (იტალია) ფასა ბორტოლო | +4 წთ, 36 წმ |
| 5 იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა) ლენდბუკრედიტი | +5 წთ, 05 წმ |
| 6 სტეფანო გარძელი (იტალია) ვინი კალდიროლა | +5 წთ, 31 წმ |
| 7 ვლადიმირ ბელი (იტალია) ლამპრე | +6 წთ, 12 წმ |
| 8 ბრედლი მაკგი (ავსტრალია) FDJeux.com | +6 წთ, 15 წმ |
| 12 ემანუელე სელა (იტალია) კერამიჩე პანარია | +10 წთ, 26 წმ |
| 13 პაველ ტონკოვი (რუსეთი) ვინი კალდიროლა | +10 წთ, 43 წმ |

# მოასწრო

სანამ ევრო-2004 დაიწყება, ბულგარეთის ნაკრების და ფრანგული „ლილის“ თავდამსხმელმა ვლადიმირ მანჩევმა ერთი კარგი საქმე მოასწრო. რა არის, რომ მალევე უნდა გამოეთხოვოს პირმშვენიერ მეუღლეს, ელეონორას და პორტუგალიისკენ გასწიოს.



REUTERS სოფიიდან



REUTERS მილანიდან

# ჭიქა დამიანოსთვის

დამიანო კუნეგო იმასაც ასწრებს, რომ შამპანურიანი ჭიქა ჩამოართვას გულშემატკივარს. ეს იოლია, რადგან ჯიროს ბოლო, მეოცე ეტაპია და დამიანო როგორც ჩემპიონი ისე შედის მილანში.

# გამარჯვებული

შვედი კაროლინა კლუფტი თავის ეროვნულ დროშას აფრიალებს. სწორედ მან მოიგო ავსტრიის გოეცისში გამართული ჰეპტატლონისტთა საერთაშორისო შეჯიბრი. მეორეზე ბრიტი კელი სოთერტონი გასულა, მესამეზე უკრაინელი ნატალია დობრინსკა.



REUTERS გოეცისიდან



REUTERS ბანგკოკიდან

# მძღოლი არ იყო

ბანგკოკში ერთი ოხერი შემთხვევა მოხდა: ცაში გამოკიდული ევროპის ჩემპიონატის სარეკლამო ბურთი გაბმულ სამავრს მოწყდა და მანქანა ჩაჭყლიტა. მძღოლი იქ არ იყო.



REUTERS ინდიანაპოლისიდან

# შეჯახება ინდიანაში

აი, „ინდიანაპოლის-500-ის“ სახიფათო წამი: „ტარჯეტ განასისა“ და „ექსეს მოტორსპორტის“ მანქანები ერთმანეთს ასკდებიან. მათვე შეეხაჯახა „ჰენსკეს“ მანქანაც, თუმც სამივე პილოტი იოლად გადარჩა. „ინდიანაპოლის-500“ კი 88-ედ ჩატარდა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge